ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 2020 №191 (8455) ფასი: 60 თეთრი

მიხეილ რამიშვილი: „სატელიტის 19 ივლისის ფოტოებზე თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა ტყეში არ დგას“

პროკურატურა ფოტომასალას ექსპერტიზას ჩაუტარებს

გვ.5

„არჩევნების მოგება ნაციონალების მიზანი არ არის“

რამაზ საყვარელიძე:

„ძალიან ფრთხილი მოქმედება მართებს ხელისუფლებას... არ გამოვრიცხავ, მასობრივი კარანტინის შემოღებამ სოციალური პროტესტიც გამოიწვიოს“

გვ.4

„ივანიშვილმა პრემიერმინისტრობაზე უარი თქვა“



გვ.3

რევაზ არველაძე: „ქართული ოცნების“ დეპუტატების ნაწილს ხმა არ ამოუღია მთელი ოთხი წლის მანძილზე“

„ოცნების“ შტაბი, სადაც კორონავირუსი დაფიქსირდა, არ დახურეს, თუ სხვა პარტიებს სხვანაირად მიუდგებიან, მას პოლიტიკური ელფერი ექნება“

გვ.3

ირმა ნადირაშვილი: „ოცნება“ თეთრხალათიანებს ამოეფარა“

„თუ ვერ ჩამოყალიბდება კოალიციური მთავრობა, ეს ტრაგედია არ არის. დაინიშნება ვადამდელი არჩევნები“

ბექან ნათელაშვილი: „არჩევნების მოახლოებასთან ერთად კოვიდინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდა“

გვ.4

გვ.2

„ოცნება“ არჩევნებში 45-46%-ს აიღებს“

შოთა დიღმელაშვილი: „პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებ“

„მე არ ვამტკიცებ, რომ სააკაშვილი იდეალურია. იგივე მისი პრემიერობა ჯერჯერობით არარეალისტურია, 100%-იც რომ მიიღოს ნაცმოძრაობამ“

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის დროს ერთმმართველობის სისტემა არ იყო“

გვ.2

ISSN 1987-9385

2 ნინო ბურჯანაძე: „არჩევნების გადადებაზე უნდა ვიფიქროთ“

5 ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილს თასები დაუმტვრია

2 „ოცნების“ სიის პირველი ნომერი გიორგი გახარია იქნება

6 ჯო ბაიდენს მხარს გამოკითხულთა 52% უჭერს, დონალდ ტრამპს კი — 40%

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის დროს ერთმმართველობის სისტემა არ იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, როგორც ჩანს, პრემიერმინისტრობისთვის ბრძოლას უკვე შუდგა. ვიდეომიმართვის შემდეგ, როდესაც მან ამისთვის მზაობა გამოხატა, უკვე მართლმსაჯულების მიმართულებით გასატარებელ 9 ნაბიჯზე ავრცელებს განცხადებას და იმ რეფორმებზე საუბრობს, რაც ქვეყანაშია გასატარებელი. რატომ მოჰყვა სააკაშვილის გზავნილებს კრიტიკა ოპოზიციური პარტიების მხრიდან, მიმდინარეობს თუ არა ბრძოლა ოპოზიციაში ლიდერობისთვის და რამდენად დამაჯერებელია სააკაშვილის დაპირებები? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს:

— სააკაშვილს ჯერ ვიდეომიმართვა ჰქონდა, გუშინ უკვე მართლმსაჯულების სისტემაში განსახორციელებელ 9 ნაბიჯზე განცხადება გაავრცელა. სააკაშვილის მიმართ მწვავე შეფასებები გაისმა კონკურენტი პარტიებისგან. ოპოზიციაში ლიდერობისთვის მიმდინარეობს ბრძოლა?

— სამწუხაროდ, გარკვეული ბრძოლა მიმდინარეობს ლიდერობისთვის ოპოზიციაში. იმიტომ, რომ ერთი მხრივ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სააკაშვილი პრემიერობის პოტენციურ კანდიდატად წარმოადგინა. გათვლა არის იმაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი დიდ წილად სააკაშვილის ფაქტორით არის განპირობებული, მაგრამ მეორე მხრივ, „ევროპული საქართველოსთვის“ სააკაშვილის ცალკეული განცხადებები მიუღებელია. ასევე „სტრატეგია აღმაშენებელს“ ჰყავს თავისი პრემიერობის კანდიდატი გიორგი ვაშაძის სახით, ხოლო „ლელო“ დამოუკიდებლად იბრძვის.

— უცნაური იყო თაკო ჩარკვიანის განცხადება, რომელმაც სააკაშვილი შეაქო და თქვა, რომ მგლის ინტუიცია აქვს პოლიტიკური თვალსაზრისით და სწორ გათვლებს აკეთებს. ეს როგორ უნდა გავიგოთ, როცა არის იმ ძალაში, რომელმაც პრემიერობის კანდიდატად ვაშაძე დაასახელა და მეორე მხრივ, სააკაშვილს აქებს?

„მე არ ვამტკიცებ, რომ სააკაშვილი იდეალურია. იგივე მისი პრემიერობა ჯერჯერობით არარეალისტურია, 100%-იც რომ მიიღოს ნაცმოძრაობამ“

— საინტერესოა ეს საკითხი. შესაძლოა მას არ უნდა ხიდების დაწვა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და კოალიცია „ძალა ერთობაშია“ შემავალ პარტიებთან. შესაძლებელია, რომ ამაზეა გათვლილი მისი განცხადება. როგორც ჩანს, აცნობიერებს, რომ „ნაცმოძრაობას“ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ოპოზიციურ პარტიებს შორის.

რაც შეეხება სააკაშვილის ინიციატივას მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, ის აღიარებს, რომ მისი ხელისუფლების დროს დაშვებული იყო შეცდომები. ციცერონმა განაცხადა თავის დროზე, რომ მართლმსაჯულება სახელმწიფოს საფუძველია. ის განაპირობებს დემოკრატიის მთავარ პრინციპს, რასაც კანონის უზენაესობა ჰქვია.

— სააკაშვილის ეს განცხადებები დამაჯერებელია, რომელიც 9 წელი მართავდა ქვეყანას და მის მიმართ პრეტენზიები ყველაზე მეტად სწორედ მართლმსაჯულებაზეა.

— სწორედ რომ პრეტენზიები არსებობს და ამას აცნობიერებს სააკაშვილი, იმას, რომ მის დროს არ იყო მართლმსაჯულება დამოუკიდებელი და როცა ხდება ამის აღიარება, ეს უკვე კარგი და სწორი სტრატეგიაა.

სამწუხაროდ, „ოცნებას“ არ სურს აღიარება, რომ დღეს სასამართლო სისტემა არ არის დამოუკიდებელი. იგივე ხდება პროკურატურასთან მიმართებითაც.

— ხელისუფლებაში ყოფნისას არც სააკაშვილი აღიარებდა. ოპოზიციაში რომ გადავა „ოცნება“, შესაძლოა მანაც დაიწყოს აღიარება.

— სააკაშვილის და ივანიშვილის ტიპაჟებს თუ შევადარებთ, ჩანს, რომ ივანიშვილი არასდროს არ აღიარებს, რომ სასამართლო სისტემა არ იყო დამოუკიდებელი.

— ვერ ხედავთ სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის მსგავსებას?

— ვერანაირს. განსხვავება დიდია. თუმცა, მე არ ვამტკიცებ, რომ სააკაშვილი იდეალურია. იგივე მისი პრემიერობა ჯერჯერობით არარეალისტურია, 100%-იც რომ მიიღოს „ნაცმოძრაობამ“. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, სააკაშვილი პრემიერის პოსტს ავტომატურად ვერ დაიკავებს და გარკვეული პროცედურებია გასავლელი, რადგანაც არ არის საქართველოს მოქალაქე. მაგრამ წინაპირობა შეიქმნება იმისთვის, რომ ის გახდეს პრემიერი.

რაც შეეხება მსგავსებას, მე ამაში ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავ. იმიტომ, რომ სააკაშვილი პოლიტიკოსია, ხოლო ივანიშვილი ბიზნესმენი, უფრო მეტად კი საქმოსანი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოცნება“ არჩევნებში 45-46%-ს აიღებს“

შოთა დიღმელაშვილი: „პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების შანსებზე სამოქალაქო აქტივისტი შოთა დიღმელაშვილი პასუხობს.

— დიდი დრო აღარაა დარჩენილი არჩევნებამდე და რა შედეგს უნდა ველოდოთ, ისევ „ოცნებას“ ხომ არ ვიხილავთ ხელისუფლებაში?

— შანსები საკმაოდ თანაბარია. უფრო სამართლიან სისტემაში, ვგულისხმობ სრულად პროპორციულს, რასაც ჩვენ ვითხოვდით, ოპოზიციის შანსები უკეთესი იქნებოდა. ამ სიტუაციაში შანსები თანაბარია, უბრალოდ, სისტემური უპირატესობები აქვს „ქართულ ოცნებას“, რაც მაჟორიტარულ სისტემას თან ახლავს. ბოლო კვლევებს თუ შევხედავთ, კორონას პირობებში, 35% ჰქონდა მმართველ პარტიას, რაც არ არის საკმარისი პროპორციულ ნაწილში.

— მაჟორიტარები ხომ უნდა გავითვალისწინოთ?

— დაბალი ალბათობაა, რომ ყველა მაჟორიტარი გაიყვანონ, მაგრამ არის კიდევ ადმინისტრაციული რესურსი, ფორა, რომელიც ყველა სახელისუფლო პარტიას აქვს. საპრეზიდენტო არჩევნებზე 10%-ს უდრიდა სახელისუფლო რესურსი. ამ გათვლებით რომ ვნახოთ, გამოვა, რომ 45-46%-ის მიდამოებშია „ოცნება“. რაც იმას ნიშნავს, რომ 8 მაჟორიტარული ოლქიც რომ მოიგოს ოპოზიციამ, ის იმარჯვებს.

— რამდენად დააზარალა ოპოზიცია ბოლო პერიოდის პროცესებმა? დაპირისპირებამ, მაჟორიტარებზე ვერშეთანხმებამ და ასე შემდეგ?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ოცნების“ სიის პირველი ნომერი გიორგი გახარია იქნება

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია საარჩევნო მარათონში ერთვება და „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი იქნება.

2020 ნიუსს ინფორმაცია რამდენიმე წყარომ დაუდასტურა.

ბიძინა ივანიშვილმა სიის პირველ ნომრობაზე უარი თქვა. ის საარჩევნო კამპანიის ბოლოს გააქტიურდება.

მის აქტიურობას ელოდებიან როგორც მმართველ პარტიაში, ასევე გარე პოლიტიკურ სპექტრშიც.

დღეს, 10 სექტემბერს, მმართველი პარტიის საარჩევნო სიის პირველი ოცეულის ვინაობაც გახდება ცნობილი.

პირველ ოცეულში იქნებიან ქალი წევრები: მინისტრი თეა წულუკიანი, ჟურნალისტი ეკა ბერიძე, ელისო ბოლქვაძე, ნინო კობახიძე.

ოცეულში მოხვდებიან პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე და ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

ასევე მაჟორიტარი კანდიდატებიდან ოცეულში იქნებიან: დავით სერგეენკო, ბექა ოდიშარია, ლევან კობიაშვილი, გიორგი ხოჯევანიშვილი, კახა კახიშვილი.

ოცეულის წარდგენა პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

რომან გოცირიძე: „ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში ბლოკის სახით მიიღებს მონაწილეობას“

ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში ბლოკის სახით მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებთან პარლამენტის ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, საკითხთან დაკავშირებით დეტალებს საზოგადოება მალე შეიტყობს.

— კანონის შესაბამისად იქნება ჩვენ მიერ წარდგენილი სია. ახლა უკვე ფაქტობრივად მთავრდება, დარჩა ერთი — ორი ოლქი და დავიწყებთ მაჟორიტარების წარდგენას, შემდეგ იქნება პარტიული სიის პრეზენტაცია, ოღონდ ეს უფრო მოგვიანებით. ჯერ მაჟორიტარობის კანდიდატების გაცნობის პროცესი მოხდება.

იქნება დიდი ბლოკი, მას შეუერთდება რამდენიმე პარტია, — განაცხადა გოცირიძემ.

კითხვაზე, იქნება თუ არა ბლოკში „რეს-პუბლიკური პარტია“, გოცირიძე აცხადებს, რომ ბლოკის შემადგენლობის შესახებ საზოგადოება მალე შეიტყობს.

ნინო ბურჯანაძე: „არჩევნების გადადებაზე უნდა ვიფიქროთ“

— თუ ასე გაგრძელდა ინფიცირების მატება, ჩაკეტილი სივრცეების და შეზღუდვების რაოდენობა, მაშინ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ არჩევნების გადადებაზე.

ამის შესახებ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ამ ვითარებაში არჩევნების გადადება, ლეგიტიმური მოთხოვნაა.

— ვფიქრობ, ოპოზიცია უნდა შევიკრიბოთ და ძალიან სერიოზულად ვიფიქროთ. ხელისუფლებას ახლა აწყობს არჩევნები, ამიტომ შეეცდება სხვადასხვა მექანიზმებით არჩევნები არ გადადოს. ოპოზიციას იმედი გვქონდა, რომ პანდემია არ გამწვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული ვართ არჩევნები ჩატარდეს კონსტიტუციურ ვადაში და ქვეყანამ დაიწყოს კრიზისიდან გამოსვლა, ვხედავ, რომ, მაგალითად, ბათუმი და აჭარა მნიშვნელოვანწილად დაკეტილია, სადაც მე და ჩემს პარტიას გვყავს ძალიან სერიოზული მხარდამჭერები. ჩემი მცირე სამშობლო, ლეჩხუმი ჩაკეტილია, 4 სოფელში კორონავირუსზე ტესტები ტარდება. ახლა აღმოჩნდა, რომ სამწუხაროდ, თქვენს კოლეგასაც აღმოაჩნდა ტვ „პირველზე“.

ამ ვითარებაში არჩევნების ჩატარება შეუძლია მხოლოდ ხელისუფლებას, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული რესურსი, ადგილზე ჰყავს პოლიცია, სუს-ი, კუდ-ი, გამგეობა და ა.შ. პირდაპირ, ვერტიკალით აძლევენ დავალებებს ქვეშევრდომებს, ხოლო ოპოზიცია მოკლებულია ადამიანებთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას.

ჯერ ვერ გეტყვით, ამავე აზრზე არიან თუ არა სხვა ოპოზიციური პარტიები, ამ ორი-სამი დღის განმავლობაში მხოლოდ ფრაგმენტული საუბრები მქონდა. ჩვენ გვაქვს საერთო ოპოზიციური ჩატი და ამ ჩატში დავიწყებთ თემის განხილვას. არ გამოვრიცხავ, ამას საგანგებო შეხვედრაც მივუძღვნათ, — განაცხადა ბურჯანაძემ.

კითხვაზე, როდისთვის უნდა გადაიდოს არჩევნები, ბურჯანაძემ უპასუხა, რომ „ეს კორონავირუსზეა დამოკიდებული“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეგერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა პრემიერმინისტრობაზე უარი თქვა“

რევაზ არველაძე: „ქართული ოცნების“ დეპუტატების ნაწილს ხმა არ ამოუღია მთელი ოთხი წლის მანძილზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რევაზ არველაძე პასუხობს.

– ბატონო რევაზ, „ქართული ოცნება“ დღეს სიის პირველი ოცეულის წარდგენას გეგმავს. ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ სიაში არც ამჯერად არ იქნება. რა პრინციპით ხდება სიის დაკომპლექტება? ცნობილია, რომ გახარია, თალაკვაძე, წულუკიანი და ღარიბაშვილი სიის სათავეში იქნებიან. როგორ მიდიოდა სიის დაკომპლექტების პროცესი და ვიხილავთ თუ არა ახალ სახეებს „ოცნებაში“?

– პირდაპირ გეტყვით, რომ მე ამ პროცესებში მონაწილეობა არ მიმიღია. ის გვარები, ვინც დაასახლეთ, რომ იქნებიანო, მე ესეც არ ვიცი.

– რატომ, შეიძლება არ იყვნენ? თუ თქვენ არა გაქვთ ეს ინფორმაცია?

– შეიძლება იყვნენ, შეიძლება არ იყვნენ. ხომ გეუბნებით, ვერაფერს გეტყვით. ეს უნდა ჰკითხოთ პოლიტსაბჭოს წევრებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ ამბავში.

– თავად თქვენ თუ იქნებით ამ სიაში?

– ეგ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ მე არ ვიქნები „ოცნების“ სიაში.

– რატომ გადგა ბიძინა ივანიშვილი განზე? არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ის ამ სიაში არ იქნება.

– მე გეტყვით ერთ რაღაცას, გარდა პარტიაში საქმიანობისა, თუ ივანიშვილმა გადაწყვიტა შემოვიდეს ხელისუფლების შტოებში, მე მიმაჩნია, რომ მხოლოდ პრემირმინისტრად უნდა შემოვიდეს. ამიტომ ამ სიაში არ უნდა იღებდეს მონაწილეობას.

– თუკი პრემიერად მოიაზრებთ, სიის პირველი ნომერიც ხომ უნდა იყოს?

– სულაც არ არის სავალდებულო, რომ სიაში იყოს. პრემიერ-მინისტრი შეუძლიათ ისე წარმოადგინონ, რა, გახარია სიაში იყო?!

– არც აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული. რატომ გადგა განზე?

– საარჩევნო კამპანიაში, დარწმუნებული ვარ, რომ ჩართულია.

– იმის თქმა გინდათ, რომ მისი დავალებით მოქმედებენ?

– ის ყველა იმ საკითხს იხილავს, რაც დაკავშირებულია არჩევნებთან. წარმოუდგენელია, შეუძლებელია, რომ ასეთ დროს პარტიის ლიდერი გვერდზე გაიწიოს. ეს არის ჩემი პირადი მოსაზრება და ამას არაფერი კავშირი მმართველი გუნდის გადაწყვეტილებებთან არა აქვს. პროცესებში რომ არ ვმონაწილეობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გუნდში აღარ ვარ, მე ამ გუნდის წევრი ვარ, თუმცა ეს არის ჩემი პირადი მოსაზრებები.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ არანაირი რესურსი აღარ შერჩა განახლების და ახალ სახეებს არ უნდა ველოდოთ მათ სიაშიო. თქვენ რას იტყვით, იქნებიან ახალი სახეები „ოცნების“ სიაში?

– დარწმუნებული ვარ, რომ იქნებიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველ ოცეულში ერთი ქალი უნდა იყოს. ამ 120 კაციან სიაში, 30 ქალი იქნება. ეს ახალი არ არის?! ამ პარლამენტში, პოზიციან – ოპოზიციანად სულ არ ყოფილა ჯამში 30 ქალი პარლამენტში. არის მეორე საკითხიც, არ მინდა ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ყველა ხომ ვუყურებდით, რომ თუნდაც „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატების ნაწილი სტატისტებად ისხდნენ, ხმაც კი არ ამოუღიათ მთელი ოთხი წლის მანძილზე და არც რაიმე კანონპროექტი მოუმზადებიათ. მათი ჩანაცვლება ახალი სახეებით აუცილებლად მოხდება. ამიტომ ახალი სახეები იქნება. კონკრეტულად ვინ იქნება, ამას ვნახავთ.

– რა შანსები აქვს „ქართულ ოცნებას“, ამბობენ, რომ ძალიან გაუჭირდება უმრავლესობის მოპოვება. ამაზე რას იტყვით?

– ერთს გეტყვით, ახლა გამარჯვება უფრო რთული იქნება, ვიდრე წინა არჩევნების დროს. გახსოვთ, რომ საკმაოდ რთული იყო საპრეზიდენტო არჩევნებიც, მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო. ზოგიერთი თავგამოდებული ლიდერი, რომელიც, ჩემი აზრით, სწორად არ იყო ინფორმირებული, მაშინ ბიძინა ივანიშვილს უცხადებდნენ, რომ გამარჯვებას პირველივე ტურში მოიპოვებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ახლაც არ იქნება იოლი პირველივე ტურში გამარჯვება. თუმცა გეტყვით იმას, რომ დარწმუნებული ვარ, „ოცნება“ შეძლებს მარტომ დააკომპლექტოს მთავრობა და კოალიციის შექმნა საჭირო არ იქნება.

– ვინ არწმუნებდა ივანიშვილს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური არ იქნებოდა საჭირო და პირველივე ტურში მოიგებდა?

– მაგას ნუ მკითხავთ, ახლა მაგ თემაზე არ მინდა ლაპარაკი. სამწუხაროდ, ერთი და ორი არ იყო ეგეთი.

– ანუ მის გარემოცვაში არიან ისეთები, ვისაც ის შეცდომაში შეჰყავს?

– ეს ნებისთ თუ უნებლიეთ ხდება, შემთხვევით თუ გამიზნულად, მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს არასწორი ინფორმირებულობის შედეგია.

– ბატონო რევაზ, ყველა კვლევის თანახმად, მართალია, ოპოზიცია ვერ ლიდერობს, მაგრამ „ოცნებას“ მაქსიმუმ 35% აქვს. სახელისუფლო რესურსით და მაჟორიტარების დახმარებით, ჯამში, 45%-ზე მეტს ვერ აიღებსო. ეს არ არის საკმარისი მთავრობის დასაკომპლექტებლად. ამ შემთხვევაში რა იქნება. არიან პარტიები, ვინც შევა „ოცნებასთან“ კოალიციაში?

– იცით, მე ადრეც მკითხეს ეს და შემდეგ სულ სხვა ინტერპრეტაციით გააშუქეს ეს საკითხი. ამიტომ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, რა იქნება არჩევნების შემდეგ. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ შეძლებს „ოცნება“ იმდენი პროცენტის აღებას, რომ კოალიცია არ დასჭირდება.

– გახარიას შეცვლაზე თუ ყოფილა უმრავლესობაში საუბარი?

– რა შეხვედრებსაც მე ვესწრები, იქ ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა.

– ვის მოიაზრებთ მომდევნო პრემიერად?

– ყველაზე კარგ კანდიდატად, მე ბიძინა ივანიშვილი მიმაჩნია. თუმცა მას არ აქვს ამის სურვილი. მე ერთხელ ვუთხარი მას უმრავლესობის სხდომაზე, რომ დაბრუნებულიყო პრემიერად, მაგრამ მან გადაჭრით უარი თქვა.

– ანუ გამორიცხავთ მის პრემიერობას?

– თვითონ გამორიცხავს, თორემ მე მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი პრემიერი ის იქნებოდა.

ირმა ნადირაშვილი: „ოცნება“ თეთრხალათიანებს ამოეფარა“

„ოცნების“ შტაბი, სადაც კორონავირუსი დაფიქსირდა, არ დახურეს, თუ სხვა პარტიებს სხვანაირად მიუდგებიან, მას პოლიტიკური ელფერი ექნება“

იაგო ნაცვლიშვილი

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ქორწილები, ქელეხები და სხვა ღონისძიებები იკრძალება დახურულ სივრცეში.
სავარაუდოდ, ეს არ შეეხება პოლიტიკურ აქტივობებს და საარჩევნო კამპანიას, მაგრამ გარკვეული კითხვები ამაზეც ჩნდება და იმაზეც, რომ ხომ არ იყენებს ხელისუფლება კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებს თავისი პარტიული ინტერესებისთვის.
საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა და კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი საუბრობს.

– საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე თქვეს, რომ იკრძალება ქორწილები, ქელეხები და ა. შ. ხომ არ ელოდებით, რომ ეს აისახება პოლიტიკურ კამპანიაზეც და ხომ არ შეგეშლებათ ხელი პოლიტიკურ აქტივობებზე?

– მე მგონი, ეს არ ვრცელდება პოლიტიკურ საქმიანობაზე.

– თუმცა, როდესაც არ არის ნუსხა დაზუსტებული, ეს ხომ არ აჩენს ეჭვებს და ხომ არ ელოდებით შეზღუდვებს ამ თვალსაზრისით?

– ფაქტი ერთია, რომ ჯერ გამოაცხადეს, კორონავირუსით დაავადებულ ადამიანებს არ შეეძლებათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რაც ადამიანის კონსტიტუციური უფლების ცალსახა შეზღუდვაა, რომ არჩევნებზე გამოხატონ თავისი აზრი და მხარი დაუჭირონ მათთვის სასურველ პოლიტიკურ ჯგუფს. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა გამონახოს გზები იმისათვის, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს და ყველას შეეძლოს თავისი პოლიტიკური ნებისა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოხატვა. თუ ეს ასე არ მოხდება, ეს პირდაპირ იქნება აღქმული, როგორც მთავრობის მხრიდან განხორციელებული მაქინაცია, რათა არჩევნებზე მიმსვლელ მოქალაქეთა რიცხვი შეზღუდოს.

მაგრამ, თუ ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ ამით შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ეს არის ძალიან ფუჭი იმედი. ხალხს აქვს სურვილი, რომ გარდამტეხი ცვლილებები იყოს ქვეყანაში და ამისთვის იბრძოლებენ ადამიანები.

რაც შეეხება შეკრებებს, დიახ, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა და გეთანხმებით, რომ ეს არ არის დაზუსტებული. ძირითადად პოლიტიკური შეკრებები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ. მე ვფიქრობ, რომ ამას მთავრობა არ გამოიყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის. იმიტომ, რომ თუ ამას გააკეთებს, ეს მას ძალიან ძვირი ფასი დაუჯდება.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს, რომ მთავრობა კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებს არ გამოიყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის?

– მათ უნდა ჰქონდეთ გონიერება და ადამიანები, რომლებიც გაბრაზებულები არიან „ქართულ ოცნებაზე“. ხალხი კიდევ უფრო არ უნდა გააბრაზო იმით, რომ აკრძალოს ასეთი შეკრებები. ეჭვს იწვევს ბევრი გარემოება, შერჩევითი მიდგომაა. ვნახეთ, რომ „ქართული ოცნების“ შტაბი, სადაც იყო და იქ დაფიქსირდა კორონავირუსი, ის შტაბი არ დახურეს. შესაბამისად, თუ სხვა პარტიებს მიუდგებიან სხვა კრიტერიუმით, ამას პირდაპირ ექნება პოლიტიკური ელფერი.

– დაინახეთ თუ არა ის, რომ „ქართული ოცნება“ კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებს იყენებს საკუთარი დღის წესრიგისთვის?

– მთლიანად ამოეფარა თეთრ ხალათებს და ექიმებს „ქართულ ოცნება“ და თავისი საარჩევნო კამპანია დააფუძნა კორონავირუსზე. ის, რაც სახელმწიფოს უნდა გაეკეთებინა ხალხისთვის, როდესაც ადამიანებს ყველაზე მეტად უჭირდათ, მათ ეს დახმარება მაშინ არ მიუღიათ. მაშინ, როცა ხალხი სახლებში და შიმშილის საფრთხის ქვეშ იყო. შემდეგ ცდილობენ, რომ ეს ყველაფერი საკუთარ წარმატებად გააღონ. ჰკითხონ ხალხს, თუ თვლიან წარმატებად იმ უყურადღებობას და გულგრილობას, როდესაც მათ ეს გამოიჩინეს ეპიდემიის დროს.

„ქართულ ოცნებას“ მთელი თავისი კამპანია აგებული აქვს ვირუსზე, მაგრამ „ოცნება“ თვითონ არის ვირუსი, რომელიც აუცილებლად დამარცხდება.

– საერთაშორისო დამკვირვებლების თემა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და, სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა ვერ ჩამოვა კორონავირუსის გამო. ამ მხრივ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ვითარების დარეგულირება?

– სამწუხაროდ, არ მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

– ზოგადად ვითარება როგორ წარმოგიდგენიათ ამ მხრივ?

– საერთოდ რთული იქნება თუ საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნების პროცესში, მაგრამ მე არ მაქვს ინფორმაცია, რომ მათ უარი განაცხადეს, საბოლოოდ ყველა მისიამ, რომ არჩევნებს დაკვირდნენ.

– არსებობს ასეთი ინფორმაციაც, რომ იგეგმება დამატებითი ზომების მიღება ნოემბერში. მათ შორის სწავლის დისტანციურ სისტემაზე გადასვლა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „ოცნებას“ არჩევნების შემდეგ არჩევნების ეშინია?

– ამას რაზე დაყრდნობით მეუბნებით, რამე ინფორმაცია გაქვთ?

– დიახ, ასეთი ინფორმაცია არსებობს.

– მე ამ ინფორმაციის თაობაზე არაფერი არ ვიცი, მაგრამ ვერანაირი შეზღუდვებით ვერ მოახერხებენ ხელისუფლების შენარჩუნებას. თუ ადამიანები გადაირჩევენ ბიძინა ივანიშვილს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე იქნება, მაშინ ვერც კორონავირუსით ვერ შეაშინებს ადამიანებს და ვერც ვერანაირი სახით ადამიანების შეშინებას ვერ მოახერხებს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„ოცნება“ არჩევნებში 45-46%-ს აიღებს“

– რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ოპოზიცია მაჟორიტარებზე შეთანხმებულიყო და 30-სავე მაჟორიტარულ ოლქში წარედგინათ შეთანხმებული კანდიდატი და მცდელობა ჰქონოდა, რომ პირველივე ტურში მოეგოთ.

ასევე კარგი იქნებოდა, ოპოზიციას რაღაც ერთიანი გეგმა შეეთავაზებინა ამომრჩევლისთვის, რათა ამომრჩეველს სტაბილურობის განცდა ჰქონოდა. კრიზისის დროს ცვლილების ყველას ეშინია. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორია. ამიტომ არ უნდა დაუტოვო განცდა ამომრჩეველს, რომ რაღაც გაურკვეველს ირჩევს, ან უარესს.

– მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმა რამდენად დააზარალა ოპოზიციური სპექტრი? არათანმიმდევრული იყო ის თავის განცხადებებში.

– მოდით, ასე ვთქვათ, უშუალოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებისთვის იყო გათვლილი ეს განცხადებები. მათი სრული მობილიზება მოახდინა.

– დანარჩენი ოპოზიცია არ დაუჭერს მხარს სააკაშვილის პრემიერობას. კრიტიკაც ბევრი იყო ამასთან დაკავშირებით.

– მიხეილ სააკაშვილის ნათქვამის შესრულებას სჭირდება გამარჯვებული ოპოზიციიდან 76 დეპუტატის მხარდაჭერა. ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციური მანდატების ნახევარზე შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია. დანარჩენი ოპოზიცია მიშას კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს, შესაბამისად, ეს თეორიულადაც გამორიცხულია. იმისთვის, რომ ეს მოხდეს, ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა გაიყვანოს 76 დეპუტატი, რაც ნიშნავს იმას, რომ 51% აიღოს არჩევნებში, რაც თეორიულად შეუძლებელია.

– თქვენი მოლოდინები როგორია?

– „ქართული ოცნება“ შეეცდება, რომ კვლავ პოლარიზებულ რეჟიმში წარმართოს პროცესი და ისე წაიყვანოს, რომ ეს არის მიშა ბიძინას წინააღმდეგ. რასაკვირველია, ოპოზიცია ამას უნდა შეეწინააღმდეგოს. კარგად უნდა მიიტანოს ადამიანებამდე, თუ რა არის პროპორციული არჩევნები და სანამ ადამიანებამდე მიიტანს, თვითონაც გაითავისოს. თუ ამას ნაყოფიერად გააკეთებენ, მოიგებენ, თუ ვერ გააკეთებენ ამას ნაყოფიერად, მაშინ ვერ მოიგებენ.

– აქტიურად საუბრობდნენ თქვენს პოლიტიკაში შემოსვლაზე.

– არა, მე სიტყვის კაცი ვარ და აქციებზე როგორც ვთქვი, ეს ბრძოლა სკამებისთვის არ იყო, ეცით პატივი ჩემს სიტყვას. ალბათ ესე უნდა იქცეოდეს ყველა.

– თუ გქონდათ შემოთავაზება რომელიმე პოლიტიკური პარტიიდან?

– რა თქმა უნდა, ბევრი პარტიიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ თუ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ეს არ მოხდებოდა რომელიმე პარტიული პლატფორმიდან, თავად დავაფუძნებდით პოლიტიკურ ძალას. მე მაქვს ჩემი საქმე, „ფორბსის“ აღმასრულებელი რედაქტორი ვარ და რასაც ვაკეთებ, ძალიან მომწონს ის საქმე. ასე რომ, ამ ეტაპზე მსგავსი გეგმები არ მაქვს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ბეჟან ნათელაშვილი: „არჩევნების მოახლოებასთან ერთად კოვიდინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდა“

„თუ ვერ ჩამოყალიბდება კოალიციური მთავრობა, ეს ტრაგედია არ არის. დაინიშნება ვადამდელი არჩევნები“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნო სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.



– ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არჩევნების მოახლოება თითქმის არ იგრძნობა და წინასაარჩევნო სიტუაცია საკმაოდ მშვიდია. თქვენ რას იტყვით?

– არჩევნების მოახლოება ძალიანაც იგრძნობა. სიტუაცია კი მშვიდი სულაც არ არის. ხომ ხედავთ, კორონავირუსის შემთხვევების მატებაა! ამას ადრევე ვვარაუდობდი. ამ სტატისტიკის არ მჯერა. ფეისბუქგვერდზე არაერთხელ დამიწერია, რომ არჩევნების წინ ამ ციფრებს ხელისუფლება თავისთვის გამოიყენებდა.

– წინა დღის მონაცემით, ინფიცირებულთა რიცხვი სარეკორდო-45 იყო, მეორე დღეს – 44. თუ ტენდენცია გაგრძელდა, არ არის გამორიცხული კარანტინის შემოღება.

– მეც მაგას ვვარაუდობდი. არჩევნების წინაც არ ჩაგვკეტავენ, არ შეგვზღუდავენ. აკრძალვები შეგვეხება ყველას, მმართველი პარტიის გარდა. შეგვზღუდავენ საზოგადოების წარმომადგენლებს, პარტიის წევრებს, აქტივისტებს, კანდიდატებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. „ქართული ოცნება“ თვითონ თავისუფლად ივლის ყველგან, სადაც მოუნდება და გააკეთებს იმას, რაც უნდა. მძევლად აყვანილი მოსახლეობას აიძულებს, რომ ისევ ეს გველეშაპი აირჩიოს.

– გველეშაპს რატომ უწოდებთ ხელისუფლებას?

– იმიტომ, რომ ის ყლაპავს ნებისმიერს, ვინც არ მოსწონს, ვინც ზედმეტს ამბობს, ან ვინც ბევრი იცის. სიფრიფანა უწყინარი გოგო, თამუნა ბაჩალიაშვილი ასე არ ჩაყლაპა ამ გველეშაპმა?! „ფორმულაზე“ ისაუბრა ოჯახის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა. სატელიტით გადაღებული კადრებით დგინდება, რომ 19 და 20 რიცხვებში მისი მანქანა იმ მიდამოებში არ ფიქსირდება. ესეც ამტკიცებს, რომ თვითმკვლელობის ვერსია მოგონილია. ის მოკლეს. სუიციდი ისედაც გამორიცხული იყო. მანქანას დიდი ხანია ვმართავ და ვიცი, რომ ადამიანი, რომელიც თავის მოკვლაზე ფიქრობს, დიდი ხნის განმავლობაში მანქანით ვერ ივლის.

– არჩევნებს დავუბრუნდეთ. გგონიათ, რომ ოპოზიციას წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელი შეეშლება?

– ხელისუფლებას ეს უნდა. თვითონ რომ არაფერს მოიკლებს, ამაში დარწმუნებული ვარ. კარანტინის დროს ყველანი გამოგვკეტეს, თვითონ კი სპეცსაშვებით გადაადგილდებოდნენ. ახლაც ამის გამეორება უნდათ.

– ხელისუფლება იტყვის, რომ პარტიებს აგიტაციისთვის საეთერო დრო აქვთ გამოყოფილი.

– ეს რომ საკმარისი იყოს, მაშინ მოსახლეობასთან შეხვედრები საერთოდ არ შევიდოდა საარჩევნო ტაქტიკაში. შეხვედრები, მიტინგები, საუბრები – ეს ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ჩვენი პარტია ხალხს უშუალოდ ესაუბრება და შეკრებები მნიშვნელოვანია. დისკრიმინაციული მიდგომები ამ ხელისუფლებას ახასიათებს. მაგალითად, უცხოეთიდან ჩამოსულ საქართველოს მოქალაქეს კარანტინში ყოფნა უწევს, უცხოელს კი – არა. ეს არის დისკრიმინაცია – დასჯადი ქმედება. ამიტომ, ამის მომგონი და ხელის მომწერი სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს.

– საქართველოში აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, უნდა გაიხსნას თუ არა საზღვრები. ზოგის აზრით, საზღვრები ადრევე უნდა გახსნილიყო. ზოგიერთი უცხოელების არშემოშვების მომხრეა.

– პირადად მე იმას ვიტყვი, რომ ყველაფერი თავიდანვე არასწორად დაიგეგმა და გაყალბდა. ინფიცირებულთა რაოდენობა მოგონილი და გაბერილია. კოვიდინფიცირებული თვალით არ მინახავს. მათ ვინაობას ასაიდუმლოებენ. ტუბერკულოზიც სწრაფად გადამდები და, ამ ვირუსისგან განსხვავებით, მომაკვდინებელიცაა, მაგრამ მის შესახებ მონაცემები არ იმალება. ექიმები, რომლებიც კოვიდ 19-ზე ინფორმაციას გვაწვდიან, ინსტრუქციებს ხელისუფლებისაგან იღებენ. ხატოვნად თუ ვიტყვით, ეს კოჯრის ტყის მედიკოსები არიან.

– რატომ? „ქართული ოცნების“ შეკრებაზე რომ იმყოფებოდნენ?

– დიახ. რა უნდოდათ ექიმებს პარტიის კანდიდატების წარდგენაზე?! ამათი ნდობა უნდა გვქონდეს? ამ ყრილობამ მათ მიმართ არსებული ეჭვები გაზარდა.

– ოპოზიციაში არსებულ უთანხმოებას შევეხოთ. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია პრემიერად სააკაშვილის დასახელებამ. თქვენი პარტია, მაგალითად, გამოვიდა ოქრიაშვილისა და ჩოჩელის წინააღმდეგ, რომლებმაც ერთიანი ბლოკი შექმნეს ნაციონალებთან. ეს უთანხმოებები მომავალშიც ხომ იჩენს თავს? კოალიციური მთავრობა როგორ დაკომპლექტდება, თუ ოპოზიცია უპირატესობას მოიპოვებს?

– ეს არის მრავალპარტიული პარლამენტის თვისება. ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ და ამას უნდა შევეგუოთ. თუ ვერ ჩამოყალიბდება მთავრობა, იქნება ვადამდელი არჩევნები. ეს ტრაგედია არ არის. ყოველთვის ვიქნებით ჩოჩელისა და ოქრიაშვილის წინააღმდეგ. ისინი წურბელები არიან. ცეზარ ჩოჩელი მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო და მოახდინა ამ მხარის მონოპოლიზაცია. ივანიშვილმა ის ერთხელ საჯაროდ შეაქო იმის გამო, რომ ის არ დაუპირისპირდა სააკაშვილს და შემდეგ გადმოვიდა „ოცნებაში“. ჩოჩელი უზრუნველყოფდა ხმებით სახელისუფლებო პარტიას. კახა ოქრიაშვილი ის კაცია, რომელიც 10-ლარიან წამალს 100 ლარად გვასყიდებს. მეზობელ თურქეთში ეს 100-ლარიანი წამალი 10 ლარის ეკვივალენტი ღირს და უფრო ხარისხიანია. ბიძინასთან ნაბალახევი ეს ორი წურბელა არ წაადგება არც ერთ პარტიას. საზოგადოებას მოვუწოდებ, მივიდეს არჩევნებზე და ერთხელ მაინც მოარტყას ათიანში, რომ ქვეყანა განვითარდეს!

„არჩევნების მოგება ნაციონალების მიზანი არ არის“

რამაზ საყვარელიძე: „ძალიან ფრთხილი მოქმედება მართებს ხელისუფლებას... არ გამოვრიცხავ, მასობრივი კარანტინის შემოღებამ სოციალური პროტესტიც გამოიწვიოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, რამდენად რთული არჩევნები გველოდება, მით უფრო ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების ფონზე? ელოდებით შეზღუდვებს?

– გასათვალისწინებელია წინასაარჩევნო პერიოდი, რომელიც ქვეყანაშია. ახლა ასე მარტივად ვეღარ ჩაკეტავს ხელისუფლება და საგანგებო სიტუაციას ვერ შემოიღებს. წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვთ პარტიებს. თან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამას შეიძლება ძალიან დიდი პროტესტი მოჰყვეს პოლიტიკოსების მხრიდან, რომელიც ძალიან ცუდად შეიძლება შემოუბრუნდეს ხელისუფლებას. თან არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ მასობრივი კარანტინის შემოღებამ სოციალური პროტესტიც გამოიწვევს. ამიტომ, ძალიან ფრთხილი მოქმედება მართებს ხელისუფლებას. არ ვიცი, სად იპოვის ოქროს შუალედს და როგორ დაარეგულირებს ამ ვითარებას.

– მეორე მხრივ ხელისუფლებას თუ ეპიდემიოლოგიური ვითარება გაექცევა, მიღწეულ შედეგს, ალბათ, ვერც არჩევნებზე გამოიყენებს.

– დიახ, ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან დიდი სიფრთხილე და ოქროს შუალედის პოვნა მოუწევს. არ არის მარტივი საქმე მეორეჯერ საგანგებო სიტუაციის შემოღება. ეს გაუჭირდა თავად ევროპასაც. უკვე ქვეყნები თავს არიდებენ ფართომასშტაბიან დაკეტვებს, საგანგებო სიტუაციების გამოცხადებას, ფართო კარანტინს. მოგეხსენებათ, ეს ყველაფერი ეკონომიკურ პროცესთან არის მიბმული. ამან შეიძლება ეკონომიკურ კოლაფსამდეც კი მიიყვანოს სახელმწიფო. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჭკვიანური, გათვლილი ნაბიჯების გადადგმა.

ბევრი რამე დამოკიდებულია თავად ხალხზე. ადამიანი როგორ მოიქცევა, რამდენად გაუფრთხილდება არა იმდენად სხვას, არამედ საკუთარ თავს. თუ საკუთარ თავს გაუფრთხილდება დაიბანს ხელებს, გაიკეთებს პირბადეს, დაიცავს დისტანციას, მაშინ პრობლემას როგორც ერთი ადამიანი აირიდებს, ისე დანარჩენებიც. თუმცა, ამას ვერ ვხედავ. ადამიანები ძალიან მოეშვნენ. თითქოს საერთოდ ვერც კი აცნობიერებენ ამ საფრთხეს. როგორც ჩანს, ფიქრობენ, მე არ დამემართება! ქართველებს გვჩვევია ხოლმე გარკვეული წარმატების შემდეგ მოვეშვებით. როგორც ფეხბურთში ხდება ხოლმე. თუ პირველ ტაიმს ვიგებთ, მეორეზე მოვეშვებით და აი, მაშინ იჩენს პრობლემა თავს. ამას ვხედავ ახლაც.

– რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიხეილ სააკაშვილი ოფიციალურად დაასახელა პრემიერობის კანდიდატად, რამაც გამოიწვია ოპოზიციაში ვნებათაღელვა. ბევრმა ღიად თქვა, რომ მხარს არ დაუჭერს. „ნაციონალურ მოძრაობას“ რაში დასჭირდა სააკაშვილის წინასწარ დასახელება?

– ეს არის პოლიტიკური პროცესის ნაწილი. იმ თამაშის ნაწილი, რომელსაც თამაშობს „ნაციონალური მოძრაობა“, უფრო ზუსტად კი, სააკაშვილი.

– რას გულისხმობთ?

– ერთი მხრივ ამით „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს ხმების მოზიდვას. ძირითადი პროცენტული მაჩვენებელი სააკაშვილზე და მის ფიგურაზე მოდის. სწორედ ის ახდენს დღემდე ამ ხმების მობილიზებას „ნაციონალურ მოძრაობაში“ და არა, მაგალითად, ის შვილობილი პარტიები, რომლებიც კოალიციის სახით არიან დღეს წარმოდგენილები.

– სააკაშვილის დასახელებით ხმების მობილიზებას მოახდენენ და არა პირიქით?

– დიახ, რა თქმა უნდა! ერთადერთი ფიგურა „ნაციონალებში“ სააკაშვილია, რომელსაც დღემდე აძლევს ხალხი ხმას. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სტრატეგიას არ ცვლის. ამ სტრატეგიას არ ცვლის მიხეილ სააკაშვილი. დააკვირდით, ის ამბობს, ჩამოვდივარო ყველა არჩევნების წინ, მაგრამ არ ჩამოდის. მეორე მხრივ, იგივე წინასაარჩევნო ტაქტიკა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, ის არ ცვლის ამ ტაქტიკას.

– რატომ?

– რადგან მათი მიზანი არ არის გამარჯვება. მიზანი გამარჯვება რომ იყოს, მაშინ სხვანაირად იმოქმედებდნენ, ეს ელემენტარული ლოგიკაა.

– მიზანი პოზიციების შენარჩუნება, მეორე ადგილია?

– რა თქმა უნდა! თუ მიზანი გამარჯვება იქნებოდა, მაშინ სრულიად განსხვავებულ სტრატეგიას შესთავაზებდნენ ამომრჩეველს.

– ბატონო რამაზ, „ქართული ოცნებაც“ დაასახელებს თავის პრემიერობის კანდიდატს?

– არა მგონია. „ქართული ოცნება“ ამ თამაშში „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უნდა აჰყვეს. მით უფრო, მათ ეს არაფერში არ სჭირდებათ. „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს სჭირდებოდა ხმების მობილიზებისთვის, თავისი ამომრჩეველის მობილიზებისთვის. ასეთი აუცილებლობა არ უდგას „ოცნებას“. თუმცა, როგორ იმოქმედებენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ვერ გეტყვით. შეიძლება დაასახელონ კიდეც, ასე ჩათვალონ საჭიროდ.

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილის დროს ერთმმართველობის სისტემა არ იყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ერთმმართველობით სისტემასთან დაკავშირებით გკითხეთ.

– არა მგონია. ერთმმართველობის სისტემა არ იყო სააკაშვილის დროს. იყო ოპოზიციური პარტიები და იყო კრიტიკული ტელევიზია. თუმცა, ვაღიაროთ, რომ დღესაც არსებობს.

– რომელიც კრიტიკული ტელევიზია იყო სააკაშვილის დროს?

– „კავკასია“ და „მაესტრო“ იყო.

– პატარა არხები კი, მაგრამ ნაციონალური არხებიდან, რომელი იყო კრიტიკული?

– „კავკასია“ და „მაესტრო“ ფუნქციონირებდა და გარდა ამისა, მეორე არხზე იყო პროგრამა „თავისუფალი ტრიბუნა“.

– პატარა პლატფორმებზე საუბრობთ?

– გარდა ამისა, მასობრივი საშუალებებიდან პროსამთავრობო არც ერთი არ იყო.

– პროსამთავრობო არხები არ იყო?

– გაზეთებს ვგულისხმობ. ტელევიზიები კი. იგივე „რუსთავი 2“ და „იმედი“ პროსამთავრობო იყო. თუმცა, იგივე პირველი არხი დამოუკიდებელი იყო, ჰქონდა თოქშოუები და დაბალანსებული იყო.

– იგივე პირველ არხზე ისიც გვახსოვს, როგორ დაუხურეს ციხის კადრების შემდეგ ვახო სანაიას გადაცემა, რომელმაც შემდეგ სასამართლოში სარჩელი მოიგო.

– მე არ ვამბობ, რომ იდეალურია სააკაშვილი. იგივე 20 ივნისი რომ ავიღოთ, შეცდომები არ აღიარა დღევანდელმა ხელისუფლებამ, ხოლო 7 ნოემბერს სააკაშვილმა აღიარა ეს და 1 წლით შეიმცირა საპრეზიდენტო ვადა. მე ყველაფერში არ ვეთანხმები სააკაშვილს, მაგრამ რაც გაკეთდა მისი მმართველობის დროს, ეს აუცილებლად უნდა დავინახოთ. „ოცნების“ დროს თუ რამე კეთდება, ესეც უნდა დავინახოთ. სიტყვაზე, ძალიან კარგია 7000 კმ გზის გაყვანა.

– სააკაშვილის მხრიდან შეცდომების აღიარებას საზოგადოება მიიღებს?

– ნაწილი მიიღებს. ვინც წინააღმდეგია სააკაშვილის, ის პირიქით იტყვის, რომ ნახეთ, თავად სააკაშვილი აღიარებსო. ეს ადამიანის ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული. ბევრს უჭირს აღიარება, რადგან თვლის, რომ ამით, გამოდის, ჩემ დანაშაულს ვაღიარებო. მეორე ნაწილი, შედარებით პროგრესულად მოაზროვნე თვლის, რომ როცა ადამიანი აღიარებს, ეს ნიშნავს, რომ სინდისი აწუხებს და აქედან გამომდინარე გულახდილია.

ვინ როგორ მიიღებს ბოდიშს, ეს ადამიანზეა დამოკიდებული. ნორმალურმა ადამიანმა ნორმალურად უნდა მიიღოს და არა მხოლოდ სააკაშვილისგან. ის, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა, ეს მორალურად მიუღებელია. თუმცა, ბევრი ამას აკეთებს.

– „ოცნება“ ამდენი წელია საზრდოობს, რომ სააკაშვილს უნდა რევოლუცია და არეულობა. ამ დროს მისგან ვისმენთ, რომ საქართველოში მაშინ ჩამოვა, როცა ეს არეულობის მიზეზი არ გახდება. ამით მიშამ „ოცნებას“ ეს კამპანია ხომ არ ჩაუგდო?

– არა. უბრალოდ, ალბათ იმას გულისხმობს, რომ თუ ხელისუფლების შეცვლა მოხდა, მაშინ არის შესაძლებელი მისი საქართველოში ჩამოსვლა. ახლა რომ ჩამოვიდეს და მისი დაპატიმრება აეროპორტში მოინდომონ, მისი მომხრეები მივლენ აეროპორტში და შესაძლოა დაპირისპირების მიზეზი გახდეს. ამიტომ სააკაშვილის ეს განცხადება მისაღებია.

– მან თქვა, რომ 2 წელი იქნება პრემიერი და მერე წავა. ბიძინას გზას ხომ არ ირჩევს?

– სააკაშვილის და ივანიშვილის მმართველობა განსხვავდება ამ ნაწილშიც. ივანიშვილს აქვს ბევრი ფული, მისი ქონება აღემატება 5 მილიარდს და ეს უწყობს ხელს, რომ არაფორმალური მმართველი იყოს მაშინ, როდესაც მისი გუნდი მასზეა დამოკიდებული ფინანსურად და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სააკაშვილის შემთხვევაში კი არ მგონია, რომ არაფორმალური მმართველობის წინაპირობა არსებობდეს. ის არ არის მილიარდერი, რომელიც ფულით გააკონტროლებს საკუთარი გუნდის წევრებს.

– მაგრამ, გავლენა აქვს.

– კი, გავლენა და შემდგომში ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის განსხვავება არის. სააკაშვილი არის პოლიტიკოსი, რაც ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც სახელმწიფო მმართველობის ხელოვნება. ივანიშვილი კი არის ბიზნესმენი, უფრო საქმოსანი, რადგან ფული რუსეთში იშოვა 90-იან წლებში, ის არის ოლიგარქი.

მიხეილ რამიშვილი: „საჯელიჯის 19 ივლისის ფოჯოებზე თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა ტყეში არ დგას“

პროკურატურა ფოტომასალას ექსპერტიზას ჩაუტარებს

გარდაცვლილი თამარ ბაჩალიშვილის ოჯახის ადვოკატის, მიხეილ რამიშვილის განცხადებით, მან პროკურატურაში დააყენა შუამდგომლობა, რომ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეში გფბ-ს ექსპერტები ჩაერთონ.

როგორც რამიშვილმა თბილისის პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული საკითხი სამართლიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რათა კითხვის ნიშნები არ დარჩეს.

– ჩვენი მოთხოვნაა, სამართლიანობა რომ იყოს მიღწეული, ამისთვის საჭიროა, რომ ყველაფერი იყოს კონტროლის ქვეშ და არავის მხრიდან არ მოხდეს თავისი ძალაუფლების გამოყენება და საქმის ჩაფარცხვა. არ დარჩეს კითხვის ნიშნები, ამიტომ სამართლიანობის თვალსაზრისით ოჯახის და ჩვენი პოზიცია არის ეს.

ჩვენი კითხვები არის შემდეგი, თავიდანვე ვამბობდი, რომ არ შეიძლება მხოლოდ ვერსიების არსებობა, ვერსიებთან ერთად უნდა მუშაობდეს გამოძიებაც, რომ მტკიცებულების მოპოვება მიმდინარეობდეს და ეს მტკიცებულებები იმ ვერსიებს უნდა ემსახურებოდეს და ამყარებდეს თვალსაზრისებს, რათა შემდეგ ეს ვერსიები კვალიფიკაციის თვალსაზრისით არსებობდეს, – განაცხადა რამიშვილმა.

მისი თქმით, გამოძიება მკვლელობის ვერსიაზე და ამ კუთხით მტკიცებულებების მოპოვებაზე მუშაობს. როგორც ის აცხადებს, ამ პროცესში, შესაძლოა, გამოძიება გარკვეულ პიროვნებებამდე მივიდეს, რაც გარემოებებს შეცვლის.

– ჩვენ გვქონდა პოზიცია, რატომ შეიძლება არ ყოფილიყო ეს მკვლელობის სიტუაცია? გამოძიება ახლა ამ ვერსიაზე მუშაობს და არა მხოლოდ ვერსიაზე, არამედ დღეს მიდის მუშაობა მტკიცებულებების მოპოვებაზე.

დღეს მოვიდა თითქმის სრულად ყველანაირი სატელეფონო კავშირები. დიდი მასალაა სატელეფონო კავშირების, ხვალ უკვე დეტალურად გავეცნობი. ჩემი ერთ-ერთი შუამდგომლობა იყო, რომ ჩემთვის დეტალურად იყოს ცნობილი მწყემსსა და ჯიმშერ აფციაურს შორის ზუსტად როდის ხდებოდა კომუნიკაცია, რომ გავარკვიოთ, რამდენად სიმართლეს ამბობენ ჩვენებებში, – განაცხადა რამიშვილმა.

მანვე 8 სექტემბერს საღამოს ტელეკომპანია ფორმულას ეთერში სენსაციური განცხადება გააკეთა.

ადვოკატის თქმით, სატელიტის კადრებში 19 ივლისს თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა არ დგას იქ, სადაც ის რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს.

მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ კადრები მან თავად მოიპოვა და დასტურდება, რომ თეთრიწყაროს ტყეში, ბაჩალიაშვილის მანქანა მიყვანილია.



განცხადებიდან მალევე ადვოკატი რამიშვილი პროკურატურაში დაიბარეს.

გუშინ, 9 სექტემბერს, მიხეილ რამიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს უნდობლობა გამოუცხადა.

– თქვენ არ ხართ გამომძიებლები, თქვენ ხართ იმის შემსრულებლები, რასაც უფროსები გავალებენ. რაც შეეხება წყაროს, მე გუშინაც განვაცხადე, რა თქმა უნდა, ამას კუდს მოაბამენ, თითქოს ფოტოშოპია და გადაკეთებულია, – განაცხადა რამიშვილმა.

ადვოკატის თქმით, ის შესაბამის ფოტომასალს საელჩოებში გადააგზავნის და დამოუკიდებელ ექსპერტიზაზეც წარადგენს.

– აღარ ვაპირებ თქვენთან არანაირ თანამშრომლობას. ძალიან მალე ბევრ სიურპრიზს განახებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი ფაქტი დამისახელეთ, რომელიც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ობიექტური ჭეშმარიტებით დადგინდა, თუნდაც „მაჩალიკაშვილის საქმე“, „სარალიძის საქმე“ „მამალაძის ან შაქარაშვილის საქმე“. მე და თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახი ყოველთვის ვითხოვდით, რომ ეს ყველაფერი გამოთხოვილიყო. არავითარი მოლაპარაკება არ მიდის, არავისთან არაფერი გაუკეთებიათ. საქმის ჩვენებაშიც ჩანს, რომ იქ არავითარი ავტომობილი არ იდგა, უბრალოდ გადაფარვა უნდათ. კიდევ ბევრ სიურპრიზს ნახავთ, – დასძინა ადვოკატმა რამიშვილმა.

* * *

გუშინვე საქართველოს პროკურატურამ განცხადება გააავრცელა, რომელშიც ადვოკატ რამიშვილის მიერ სატელიტიდან გადაღებულ ფოტომასალაზეა საუბარი.

„ვინაიდან აღნიშნული ფოტოების მიხედვით არ ირკვევა მისი წარმოშობის წყარო, კერძოდ, არ არის მითითებული ვებგვერდი, სატელიტური თანამგზავრი, კომპანია, ქვეყანა და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მიხეილ რამიშვილს შეეთავაზა მიეთითებინა კონკრეტული სატელიტური თანამგზავრის და მისი მფლობელის მონაცემები, ასევე დაესახელებინა წყარო, ვისი მეშვეობითაც მოიპოვა აღნიშნული ფოტოები, რათა გამოძიების მიერ მომხდარიყო ოფიციალური საერთაშორისო სამართლებრივი წყაროებით გადამოწმება და გამოთხოვა.

საგამოძიებო უწყებაში, მიხეილ რამიშვილმა უარი განაცხადა კომპანიის და კონკრეტული წყაროს დასახელებისგან.

მიხეილ რამიშვილმა წარმოადგინა მხოლოდ 2 ფოტო და ვინაიდან არ წარმოუდგენია მათი წარმომავლობის წყარო და შესაბამისი მონაცემები, პროკურატურა ვერ იმსჯელებს აღნიშნული ფოტომასალის ნამდვილობაზე. აქედან გამომდინარე, რადგან არსებობს აღნიშნული ფოტოების ავთენტურობის ეჭვი, იმის დადგენის მიზნით, ხომ არ არის აღნიშნულ ფოტომასალაზე მონტაჟის კვალი, ჩატარდება შესაბამისი ექსპერტიზა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეზე წარმოებული გამოძიების ფარგლებში, მისი მანქანის აღმოჩენის ადგილის სატელიტით გადაღებული ფოტოების მოძიების მიზნით უკვე მიმართა პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სამსახურებს, ევროპოლს, ასევე კომპანიებს.

ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების, ევროპოლის და კომპანიების ნაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ არ გააჩნიათ გამოძიებისთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ხსენებული ტერიტორიის სატელიტით გადაღებული ფოტოები.

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და იმ კომპანიების მოძიებას, რომლებიც შეძლებენ 18-22 ივლისის პერიოდში, აღნიშნული ტერიტორიის ამსახველი სატელიტიდან გადაღებული ფოტომასალის მოწოდებას“ – ნათქვამია განცხადებაში.

ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილს თასები დაუმტვრია

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ფოტოები, სადაც ჩანს ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის მიერ მოგებული თასები, რომლებიც დაზიანებულია.

– მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე მოგებული თასები ბასილაშვილის ყოფილმა მეუღლემ, ნეკა დოროყაშვილმა ვანდალურად დაამტვრია, – ამბობს „პრაიმტაიმის“ წყარო.

წყაროს მტკიცებით, ფოტოები ნეკა დოროყაშვილის საცხოვრებელ სახლშია გადაღებული.

– ეს ფოტოები ნეკამ თავად გადაუგზავნა მეგობარს – როგორც ჩანს, ამაყობს, რომ ასე ვანდალურად გაანადგურა ნიკა ბასილაშვილისთვის ამდენად ღირებული ნივთები, – ყვება წყარო.

ნეკა დოროყაშვილის ადვოკატს არ აქვს ინფორმაცია, თუ სად ინახება ამჟამად ბასილაშვილის მიერ მოგებული თასები, თუმცა ამბობს, რომ მისი მარწმუნებლის მხრიდან ნივთების დაზიანებას ადგილი არ ჰქონია.

– პირველად მესმის მსგავსი რამ. სისხლის სამართლის საქმეში ეს ინფორმაცია არ დევს და არც მეორე მხარის მიერ გაჟღერებულა. განქორწინების შემდეგ მათ თავიანთი ნივთები გაიყვეს და მე არ ვიცი, ამჟამად სად არის ბასილაშვილის თასები. ალბათ თან წაიღო. ის ნამდვილად ვიცი, რომ არანაირი თასების დამტვრევას ადგილი არ ჰქონია, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ნეკა დოროყაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი ანა თავხელიძე.

ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატი ირმა ჭკადუა კი, ამ ინფორმაციის გადამოწმებისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით აპირებს პოლიციას მიმართოს, ვინაიდან სასამართლოს განჩინებით, ნიკოლოზ ბასილაშვილის მხარეს დოროყაშვილთან კომუნიკაცია შეზღუდული აქვს.

– ინფორმაცია, რომელსაც ახლა თქვენ მეუბნებით, ჩვენთვის შოკისმომგვრელია. ჩვენ აუცილებლად მივმართავთ პოლიციას, რათა გადამოწმდეს ეს ინფორმაცია და მოხდეს შესაბამისი რეაგირება. მოვითხოვთ, ნელი დოროყაშვილის საცხოვრებელი სახლიდან დაუყოვნებლივ ამოღებული და გამოტანილი იქნას ნიკოლოზ ბასილაშვილის ყველა ნივთი და პირველ რიგში, მის მიერ მოგებული თასები, რომელიც ნიკასთვის ძალიან მნიშვნელოვანია და რომლებსაც დღემდე უკანონოდ არის დაპატრონებული ქალბატონი ნელი დოროყაშვილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფსიქოლოგიური ზეწოლა ყოველთვის ხდება მაშინ, როცა ნიკოლოზ ბასილაშვილს აქვს მნიშვნელოვანი თამაში და არ გამოვრიცხავ, რომ ეს ქმედებაც იყოს იმაზე გათვლილი, რომ მორიგი ასპარეზობა მარცხით დაასრულოს, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ირმა ჭკადუა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ჩოგანი, ნიკოლოზ ბასილაშვილი 22 მაისს ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

ბასილაშვილი ბრალს არ აღიარებს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 100.000 ლარიანი გირაო შეუფარდა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

გუკა რჩეულიშვილი გირაოთი გამოუშვეს

„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელი გუკა რჩეულიშვილი, რომელიც ცოლის, ლელა კილაძის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გაცემული შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ბრალდებით დააკავეს, სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, რჩეულიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლომ 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დაახლოებით 2 თვის წინ შეუცვალა.

ცნობისთვის, გუკა რჩეულიშვილი სამართალდამცავებმა საკუთარ საცხოვრებელ სახლთან 12 მარტს დააკავეს. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. რჩეულიშვილს ბრალი ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო აქვს წაყენებული. რჩეულიშვილის წინააღმდეგ გამოძიება ასევე დაიწყო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის მუხლითაც.

თბილისის ბარში მომხდარი ცემა-ტყეპისთვის კიდევ ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბარში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების საქმის გამოძიების ფარგლებში, მეხუთე პირი დააკავეს.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებისა და ამოცნობის ჩატარების შედეგად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1983 წელს დაბადებული ლ.ც.

დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ბარის 4 სხვა თანამშრომელთან ერთად, რომლებიც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკვე დააკავეს, დაწესებულების სტუმრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარის შედეგად, ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო 1986 წელს დაბადებულმა ორმა პირმა – ი.ფ.-მ და ი.გ.-მ, რომლებსაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. ასევე, გრძელდება ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები ახალი გარემოებებისა და აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან შესაძლო შემხებლობაში მყოფი სხვა პირების გამოკვეთის და დაკავების მიზნით.

ნინოწმინდაში ა.ი. ცოლს და მშობლებს სცემდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული მუქარისა და ძალადობისთვის, 1975 წელს დაბადებული ა.ი. დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ბოლო სამი თვის განმავლობაში სისტემატურად ძალადობდა მეუღლის – 1975 წელს დაბადებული ა.ი.-ის, მამის – 1948 წელს დაბადებული შ.ი.-ისა და დედის – 1950 წელს დაბადებული ნ.ი.-ის მიმართ.

ერთ-ერთი ურთიერთშელაპარაკების დროს, ა.ი. ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და საცხოვრებელ სახლში არსებული ავეჯი დააზიანა.

გამოძიება ოჯახში ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობისა და მუქარის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის 1 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1 პირი – 1979 წელს დაბადებული ვ.ბ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი და ზუგდიდში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ და დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული ნივთიერებები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, 261-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ფოთში ბიჭი დაიხრჩო

ფოთში, მდინარე რიონში არასრულწლოვანი დაიხრჩო. ბიჭი, სავარაუდოდ, დინებამ გაიტაცა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი მარნეულიდანაა და ფოთში სტუმრად იყო ჩასული. მაშველებმა ცხედარი უკვე ამოიყვანეს.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მოთავარი

საერთაშორისო

ჯო ბაიდენს მხარს გამოკითხულთა 52% უჭერს, დონალდ ტრამპს კი — 40 %

ბოლო გამოკითხვის თანახმად, პრეზიდენტობის „დემოკრატი“ კანდიდატი ჯო ბაიდენი პრეზიდენტ დონალდ ტრამპს 12%-ით უსწრებს.



კვლევის თანახმად, ჯო ბაიდენს მხარს გამოკითხულთა 52% უჭერს, დონალდ ტრამპს კი – 40%.

პოტენციური ამომრჩევლების 3% ხმის მიცემას სხვა კანდიდატისთვის აპირებს. 5%-ს კი ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, ვის დაუჭერს მხარს საპრეზიდენტო არჩევნებში.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

მარია კოლესნიკოვა დაკავებულია

ბელარუსის ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი მარია კოლესნიკოვა დაკავებულია და მინსკის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

ამის შესახებ ინფორმაციას მედია კოლესნიკოვას მამაზე დაყრდნობით ავრცელებს.

– საგამოძიებო კომიტეტის მთავარი დეპარტამენტის ჯგუფის ხელმძღვანელმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ის დაკავებულია, – განაცხადა ალექსანდრე კოლესნიკოვმა.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი მარია კოლესნიკოვა ნიღბიანმა პირებმა მინსკის ცენტრში მინივენში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

მისი თანაგუნდელების ინფორმაციით, ხელისუფლება კოლესნიკოვას უკრაინაში დეპორტაციას შეეცადა, თუმცა მან პასპორტი დახია და ქვეყნისგან გაძევებას თავი ამ გზით დააღწია.

აშშ ერაყიდან 2.200 ჯარისკაცს გაიყვანს

ამერიკის შეერთებული შტატები სექტემბრის ბოლომდე ერაყიდან ჯარის მესამედზე მეტს გაიყვანს.

ამის შესახებ აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის მეთაურმა, გენერალმა კენეტ მაკკენზიმ განაცხადა.

მისივე თქმით, ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა 5.200-დან 3.000-მდე შემცირდება.

ამერიკული ჯარის ერაყში ყოფნის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ირანელი გენერლის ყასემ სულეიმანის დაღუპვის შემდეგ გახდა, რომელიც იანვარში აშშ-ის სამხედროების მიერ ბაღდადში ჩატარებულ ოპერაციას შეწირა.

სულეიმანის დაღუპვიდან რამდენიმე დღეში ერაყის პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს უცხოეთის ჯარების მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

დათა თავაძე: „კულტურა დააყენეს ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და კაზინოების დონეზე“

ასე აფასებს რეჟისორი დათა თავაძე მთავრობის გადაწყვეტილებას თეატრებისა და კინოთეატრების პირველ ნოემბრამდე დახურვის გადაწყვეტილებას:

– „თეატრები და კინოთეატრები, ასევე ბავშვთა გასართობი ცენტრები, ნაცვლად 15 სექტემბრისა და 1 ოქტომბრისა, 1 ნოემბრიდან გაიხსნება.“

და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ისევ ჩუმადაა. მგონი, არც კი იციან ამის შესახებ. ის, როგორც წარმართავთ კომუნიკაციას საზოგადოებასთან და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებთან, არის სულ მცირე არაპროფესიონალური და უარეს შემთხვევაში, უბრალოდ, სამარცხვინო ბოროტება და დანაშაული! აღმაშფოთებელია და უკვე აღარაფერში აღარ წერია ეს.

ვინ ხართ მანდ?

ვინ დაგსვათ მანდ, ან რა ნიშნით?

დაელაპარაკეთ, ხალხს.

აიღეთ ხელში პასუხისმგებლობა...

კულტურა დააყენეს ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და კაზინოების დონეზე და ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავთ!

სასწრაფოდ გვიპასუხეთ ყველა კითხვაზე, სასწრაფოდ შექმენით დამოუკიდებელი ხელოვანებისთვის მხარდაჭერის გეგმა, დაუყოვნებლივ მოიფიქრეთ, როგორ ამოუდგებით მხარში იმ მენეჯერებს, რომლებსაც საბანკო სესხები აქვთ აღებული პროექტების განსახორციელებლად თქვენი დაპირებების გამო, უკვე პროცენტები ემატება მათ სესხებს, აქამდე თუ რაღაც შეღავათით სარგებლობდნენ, ეგეც დამთავრდა. წლების საქმე გადაეყარათ წყალში, იმიტომ, რომ არაკომპეტენტურები ხარ და წარმოდგენა არა გაქვთ, როგორ უნდა ადაპტირდნენ დაწესებულებები ამ გარემოებაზე. წარმოდგენა კი არ გაქვთ იმიტომ, რომ დიალოგს, როგორც ასეთს, არ ცნობთ და არ აღიარებთ!

სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს თანხები, რომ არტისტებმა ალტერნატიული გზების გამონახვა შეძლონ და გამოიყენონ სხვადასხვა ტექნოლოგიები მუშაობის გასაგრძელებლად.

ახალ კლასტერებს კაფე-ბარების, რესტორნების სახელები რომ ჰქვია, 8 საათი გადაძეძგილი მატარებლით რომ ვმგზავრობთ და ეს არ წარმოადგენს პრობლემას, პრაქტიკულად აღარსად სიცხეს რომ აღარ გიზომავენ და ორ დღეში 90-მდე შემთხვევა რომ გვაქვს, მხოლოდ კულტურას ეხება რატომღაც გამკაცრებული რეგულაციები?! იმ სივრცეებს, სადაც ისედაც, ტრადიციულადაც, არაერთი შეზღუდვა მოქმედებდა?

სახელოვნებო დარბაზები, ბევრად უსაფრთხო სივრცეებია, ვიდრე რესტორნები და სავაჭრო ცენტრები!

ისე ჩატარდა არაერთი სპექტაკლი, ფესტივალი, კინო-ჩვენება და მუსიკალური კონცერტი, გამოფენა, ლიტერატურული ფესტივალი ღია ცის ქვეშ მთელი ზაფხულის მანძილზე, ერთი გადაცდენაც არ ყოფილა რეგულაციების შესრულების მხრივ და მიუხედავად ამისა, მაინც კულტურა ისჯება პირველ რიგში!

ამიტომ, მოვითხოვთ, ყველა დადგენილი რეგულაციის გათვალისწინებით, გაიხსნას კინოთეატრები და თეატრები და ზოგადად, ყველა კულტურული დაწესებულება, დათქმულ დროს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალაქიდან სოფლამდე



შვიდმა ღვთისმსახურმა მამაკაცი დახრჩობას გადაარჩინა

აშშ-ში შვიდმა ღვთისმსახურმა გადაარჩინა მამაკაცი, რომელიც ნავიდან გადავარდა და ტბა ჯორჯის ცივ წყლებში იხრჩობოდა.

ჯიმი მაკდონალდი ტბაში ნავით სეირნობდა და თავისი ახალი ტელეფონის კამერით ფოტოსურათებს იღებდა. ის მოულოდნელად ნავიდან წყალში გადავარდა. მან უკანვე ასვლა სცადა, მაგრამ ნავი გადაბრუნდა. მამაკაცი ნავის გვერდს ებღაუჭებოდა და ასე ცდილობდა წყლის ზედაპირზე თავის შემაგრებას.

– შევნიშნე, ნაპირი ძალიან შორს იყო და დარწმუნებული არ ვიყავი, რომ იქამდე მიღწევას შევძლებდი, – იხსენებს ჯიმი. ის ბედს შეეგუა და ლოცვა დაიწყო.

მამაკაცს გადამრჩენელად შვიდი ღვთისმსახური მოევლინა, რომლებიც ტბაზე მცურავი პაბით სეირნობდნენ. როგორც კაპიტანმა გრეგ ბარეტმა განაცხადა, ერთ-ერთ^ღვთისმსახურს ყვირილის ხმა შემოესმა. მათ მამაკაცს მაშველი რგოლი გადაუგდეს და გემბანზე აიყვანეს. თვითმხილველებმა მომხდარს ღვთიური ჩარევა უწოდეს.

სილამაზის კონკურსის დამარცხებულმა მონაწილეებმა სკანდალი მოაწყვეს

ტაილანდის ქალაქ სონგკხლაში სილამაზის კონკურსის დამარცხებულმა მონაწილეებმა ფინალში სკანდალი მოაწყვეს და გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ფული მიითვისეს.

სკანდალის წამომწყები 24 წლის ორნაპან ნა ჩიანგ მეი გახდა. მან ჩათვალა, რომ იდეალურად უპასუხა ყველა კითხვას და ფინალში გასვლას იმსახურებდა. როდესაც ჟიურიმ ის და კონკურსის მონაწილე კიდევ ოთხი გოგონა ფინალს მიღმა დატოვა, გოგონა ჟიურისთან მივიდა და გინება დაუწყო. მას მალე სხვა დამარცხებული გოგონებიც შეუერთდნენ.

როგორც გაირკვა, ჟიურის წევრებს არ მოეწონათ ორნაპანის პასუხი, რომელიც სამყაროს აღსასრულის შემდეგ კაცობრიობის გადარჩენას შეეხებოდა. მას უნდა შეერჩია ადამიანები, რომლებიც, მისი შეხედულებით, სხვა პლანეტაზე უნდა გაეგზავნათ კაცობრიობის სიცოცხლის გასაგრძელებლად და განემარტა, უნდა შესულიყო თუ არა თავად ის ამ ადამიანების რიცხვში.

განმარტებამ ვერ დაამშვიდა კონკურსის აღშფოთებული მონაწილეები. ფინალი ჯერ ერთი საათით გადაიდო, შემდეგ კი მისი საერთოდ გაუქმება გადაწყდა. საპრიზო ფონდი, რომელიც 200 ათას ბატს შეადგენდა, ათ ნახევარფინალისტს შორის განაწილდა, მათ შორის დამარცხებულებიც შევიდნენ, ხოლო სილამაზის დედოფლის გვირგვინი არავის მიეკუთვნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

ბიბერის მეუღლემ იახტაზე დასვენების დროს ბიკინი მოირგო

კანადელი მუსიკოსის ჯასტინ ბიბერის მეუღლემ, სუპერმოდელმა ჰეილი ბიბერმა გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათების სერია, რომელიც აიდაჰოში მათი ერთობლივი დასვენების დროსაა გადაღებული. შესაბამისი კადრები სოციალურ ქსელ ინსტაგრამში იქნა გამოქვეყნებული.

ერთ-ერთ ფოტოზე 23 წლის სუპერმოდელი ტბის ფონზე შავ ბიკინისა და წითელ გასაბერ ჟილეტში გამოწყობილია აღბეჭდილი. მეორე კადრში იმავე საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ჰეილი მეუღლესთან ერთად პოზირებს იახტის გემბანზე.

– ბოლო ორი კვირა იყო მეტად საოცნებო და სათავგადასავლო, – დაწერა მოდელმა კომენტარში ფოტოსურათების სერიის კომენტარში, რომელმაც თაყვანისმცემლებისგან 1,6 მილიონი მოწონება მიიღო.

მოზარდი ნიანგს თავს დაესხა და ძმა გადაარჩინა



ინდოეთის ბიხარის შტატში ნიანგი მოზარდს თავს დაესხა, მაგრამ ის უფროსმა ძმამ გადაარჩინა, რომელიც რეპტილიას არ შეუშინდა და თავად დაესხა მას თავს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ნირაჯ კუმარი და მისი უფროსი ძმა დირაჯ კუმარი მდინარეზე წავიდნენ თევზაობის კამეჩების დასაბანად. მოზრდილმა ნიანგმა ნირჯს, რომელიც წყალში იყო შესული, ბარძაყში სტაცა პირი.

ნაპირზე მჯდომი დირაჯი მაშინვე ძმის დასახმარებლად გაექანა და რეპტილიას შეუტია.

– ნიანგმა რამდენიმეჯერ მომიქნია კუდი, მაგრამ უკან არ დავიხიე და მისთვის ფეხების ცემა და თვალებში თითის ტაკება გავაგრძელე, – განაცხადა დირაჯმა.

რეპტილიამ ყბები გახსნა, ბავშვს თავი დაანება და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა, თუმცა ამ დროში მან სერიოზულად დაუზიანა ფეხი დირაჯს. დაშავებული ბავშვი ჯერ – ადგილობრივ, შემდეგ კი საოლქო საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მამაკაცმა ბუზის მოკვლა სცადა და სახლი ააფეთქა

საფრანგეთში ხანდაზმული მამაკაცი ცოცხალი გადარჩა მას შემდეგ, როდესაც ბუზის მოკვლა სცადა და შემთხვევით საკუთარი სახლი ააფეთქა.

მამაკაცი, რომელიც დაახლოებით 80 წლისაა, სადილობას აპირებდა, როდესაც მწერის ბზუილის ხმა შემოესმა. მან ბუზის ელექტროსახოცი აიღო და მწერის მოკვლა სცადა. თუმცა აღმოჩნდა, რომ მის სახლში გაზის ბალონი გაზს აპარებდა, შედეგად კი ბუზის ელექტროსაკლავის ნაპერწკლმა გაზის ბალონის აფეთქება გამოიწვია.

აფეთქების შედეგად სამზარეულო და სახლის სახურავის ნაწილი განადგურდა. მამაკაცი ხელის დამწვრობით გადარჩა და სამაშველო სამსახურმა ის ლიბურნის საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევითმა რიცხვებმა ქალს ლატარიაში გაამარჯვებინა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ლოგანში ქალმა „შემთხვევითი რიცხვების“ კომბინაციით, რომელსაც ლატარიის გათამაშებაში უკვე 20 წლის განმავლობაში იყენებდა, ჯეკპოტი მოხსნა.

ავსტრალიელმა განაცხადა, რომ 29 აგვისტოს გამართული ლატარიის გათამაშებისთვის ბილეთი შეიძინა. მან მასში ჩაწერა იგივე რიცხვები, რომლებსაც 20 წლის განმავლობაში იყენებდა.

– ეს არის რიცხვები, რომლებიც მრავალი წლის წინ შევარჩიე. ისინი, უბრალოდ, შემთხვევითი რიცხვებია და რატომ ავირჩიე, არც კი მახსოვს, – განმარტა ქალმა.

შედეგად ქალმა ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 400 ათასი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

ლატარიის გამარჯვებულის თქმით, ჯერ ადრეა იმაზე ფიქრი, თუ რაში დახარჯავს მოგებულ თანხას, თუმცა, ასევე აღიარა, რომ რაღაც გეგმების შემუშავება უკვე დაიწყო.

თხა პოლიციის მანქანაში შეძვრა და საბუთები შეჭამა

ამერიკის ჯორჯიის შტატის დუგლასის ოლქში თხამ პოლიციის მანქანაში შეაღწია და სამუშაო საბუთები შეჭამა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი შერიფის თანაშემწე ქალმა საპატრულო ავტომობილის კარი ღია დატოვა. ამით იქვე მოსეირნე თხამ ისარგებლა. შეძვრა ავტომობილში და იქ დატოვებული სამუშაო საბუთების ჭამას შეუდგა. სამართალდამცველი ცხოველის გაგდებას შეეცადა, რასაც თხამ რქენით უპასუხა. საბოლოოდ მანქანაში დატოვებული ყველა საბუთი შეჭმული აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ფეისბუქში შერიფის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.



მილოცვა

საქართველოს ვეტერან ენერგეტიკოსთა კავშირის წევრებს, მისი მართვის საბჭოს შემადგენლობას, საქართველოში მოქმედ ყველა ენერგეტიკოსს გილოცავთ ენერგეტიკის დღესასწაულის – 10 სექტემბრის მობრძანებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის დამსახურებული ინჟინერი ავთანდილ (თენგიზ) გელაშვილი

გააფთრებულმა სპილომ ტყეში შემთხვევით აღმოჩენილი მამაკაცი გასრისა

ინდოეთის უტარაკხანდის შტატის ქალაქ რამნაგარის მახლობლად სპილომ გასრისა მამაკაცი, რომელიც ტყეში თავის საქონელს მწყემსავდა.

47 წლის მამაკაცი კვირა საღამოს შემთხვევით აღმოჩნდა ტყეში, რომელიც ნაკრძალს ეკუთვნის. იქ მას თავს დაესხა გააფთრებული სპილო და გასრისა.

რამნაგარის სატყეო მეურნეობის თანამშრომელმა ჩანდრაშეკხარ ჯოშიმ განაცხადა, რომ მამაკაცმა ამ თავდასხმის შედეგად მძიმე ტრავმები მიიღო და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, მაგრამ მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს. სატყეო მეურნეობა დაღუპულის ოჯახს კომპენსაციის სახით 300 ათას რუპიას გადაუხდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხელიდან გაშვებული მოგება

საქართველო-ჩრ. მაკედონია 1:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 ოქრიაშვილი (13პ), 1:1 რისტოვსკი (34)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კვერკველია, ხოჭოლავა, მალი (შენგელია 75), კანკავა, კვეკვესკირი (კაჭარავა 85), დავითაშვილი, ოქრიაშვილი, კვარაცხელია, ქვილითაია (ჩაკვეტაძე 62)

ჩრ. მაკედონია: შიშკოვსკი, ალიოსკი, მუსლიუ, ველკიოსკი, რისტოვსკი, ადემი (ნიკოლოვი 59), სპიროვსკი, ელმასი, ბარდი, ტრაიკოვსკი, პანდევი (ბეიტულაი 78)

გაძევება: მუსლიუ (64)

საქართველოს ნაკრებმა მოსაგები ვერ მოიგო. არადა, ძალიან გვჭირდებოდა – ჩრდილოეთ მაკედონიასთან 3 ქულით ძალიან დიდ ნაბიჯს გადავდგამდით ერთა ლიგის ც დივიზიონის მოსაგებად. ეს კი ბ დივიზიონში აღზევებას ნიშნავს და მეტოქეებად უფრო ძლიერი გუნდების ხილვას.

არადა, მოგების შანსი იყო. ეს სტატისტიკიდანაც ჩანს: კარისკენ დარტყმები 13-2, აქედან ზუსტი – 6-1. ჰო, მაკედონიელებმა ერთხელ დაგვირტყეს და გაგვიტანეს. მეტოქე რიგ ეპიზოდებში უფრო გუნდურად მოქმედებდა და მაღალი კლასის გუნდად ჩანდა, მაგრამ მხოლოდ რიგ ეპიზოდებში. ვარსკვლავები არც საქართველოს მოუწყვეტია, მაგრამ 3 ქულის აღება შეიძლებოდა.

ჩვენებს საქმე გაურთულა წვიმამ. თუმცა, ბუნება არაფერ შუაშია, როდესაც სტადიონს ნორმალური დრენაჟი არ აქვს – „დინამო არენამ“ საათნახევრიან წვიმას ვერ გაუძლო და მოედანზე გუბეები იდგა.

ჩვენებს საქმე გაურთულა ვლადიმირ ვაისმაც, რომელმაც ესტონეთთან მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში 3 ცვლილება განახორციელა: დაცვაში ნიკა მალი, ნახევარდაცვაში ზურიკო დავითაშვილი და ცენტრფორვარდად გიორგი ქვილითაია გაამწესა. სამივე მათგანი ამოვარდნილი იყო გუნდიდან. ქვილითაია საერთოდ დაკარგული იყო, მალის უხეშ შეცდომას მოჰყვა გოლი, დავითაშვილმა მეორე ტაიმი უფრო გამოასწორა, მაგრამ...

ვაისმა ბოლოსკენ გარისკა. 1:1 იყო, მეტოქე კაცნაკლული, მოგება შეიძლებოდა. სლოვაკმა სპეციალისტმა მცველი მოხსნა და შემტევი ნახევარმცველი შეიყვანა, მერე საყრდენი ნახევარმცველის ნაცვლად საქმეში თავდამსხმელი ჩართო, მაგრამ ვერ გავიტანეთ. არადა, ლევან შენგელიას 2 მომენტი ჰქონდა – ჯერ თავით ოდნავ აააცილა კარს, შემდეგ ვარდნაში ურტყამდა და მეკარემ აუღო.

ჩვენი გოლი კვარაცხელიას აქტიურობის შემდეგ გავიდა – ხვიჩამ ინგლისის პრემიერლიგის მცველი ალიოსკი დაჩაგრა და პენალტი „აკიდა“. 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა თორნიკე ოქრიაშვილმა და მე-10 სანაკრებო გოლი გაიტანა.

გაშვებულ გოლზე რა უნდა ვთქვათ... ასე მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთში ხდება – მალიმ ზედმეტი, არასწორი მოძრაობით ბურთი დაკარგა და 2 პასით გოლი მივიღეთ. კლასიკური კონტრშეტევის მაგალითი იყო.

მაკედონიასთან ჯგუფის მთავარი მატჩი ოქტომბერში გვექნება. თუმცა, მანამდე ბელარუსთან უფრო მნიშვნელოვანი თამაშია.

ჩვენივე ჯგუფში სომხეთმა შინ 2:0 მოუგო ესტონეთს და 3 ქულა აქვს. ჯგუფს 4-4 ქულით ჩრდილოეთ მაკედონია და საქართველო ლიდერობს. ბალტიისპირელებს ჯერ ქულაც არ მოუპოვებიათ.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლიხტენშტეინში მოიგო

ლიხტენშტაინი-საქართველო 0:2

ესხენი. სპორტპარკი

0:1 სპანდერაშვილი (20), 0:2 სამურკასოვი (35)

ლიხტენშტაინი: მაიერი, სპირიგი, გრაბერი, მარტინ მარქსერი, გრუნენფელდერი, ლუჩინგერი, ცაგლარი (სიმენი 83), ნეცერი (მარკო მარქსერი 70), გასნერი (უნტერაინერი 70), მეიერი, ბეკი (გრაბერი 46)

საქართველო: მამარდაშვილი, ასათიანი (ბურჯანაძე 46), ანდრონიკაშვილი, სამურკასოვი (გულიაშვილი 62), ქავთარაძე (სანიკიძე 45), დარცმელია, სპანდერაშვილი (ბუღრიძე 46), კუცია, ჯინჯოლავა, აზაროვი, მექვაბიშვილი (ძებნიაური 87)

გაძევება: მამარდაშვილი (45), გრაბერი (89)

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მეშვიდე მატჩი სტუმრად ლიხტენშტაინის წინააღმდეგ გამართა. შეხვედრა ჩვენი გუნდის გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

ანგარიში მე-20 წუთზე ნუგზარ სპანდერაშვილმა გახსნა. 35-ე წუთზე კი, მეტოქის კარი დავით სამურკასოვმა აიღო და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

პირველი ტაიმისთვის კომპენსირებულ დროში მსაჯმა მოედნიდან საქართველოს 21-წლამდე ნაკრების მეკარე გიორგი მამარდაშვილი გააძევა. ვასილ მაისურაძის გუნდმა უპირატესობის შენარჩუნება შეძლო და 3 ქულა მოიპოვა.

7 შეხვედრის შემდეგ, 9 ქულით საქართველოს 21-წლამდე ნაკრები ევრო 2021-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ჯგუფში მესამე ადგილზეა. ქართველი ფეხბურთელები მომდევნო ტურში შვეიცარიას უმასპინძლებენ. ეს მატჩი 9 ოქტომბერს გაიმართება.

რონალდუ ასიანია

კრიშტიანუ რონალდუმ ნაკრების მაისურით მე-100 და 101-ე გოლები გაიტანა, პორტუგალიამ კი, შვედეთი დაამარცხა – 2:0. ახლა, კრიშტიანუ და მისი ეროვნული გუნდი ერთა ლიგის ა ლიგის მე-3 ჯგუფს ფრანგებთან ერთად ლიდერობენ. ამ ორ ნაკრებს 6 ქულა აქვს.

35 წლის და მაინც ფენომენალური რონალდუ კოვიდ 19-ის ინფექციის გამო მთელი 10 თვის განმავლობაში 99 სანაკრებო გოლზე იყო გაჩერებული. არ იყო გამორიცხული, რომ მსოფლიოს 5-გზის საუკეთესო ფეხბურთელს ვერც ამჯერად გადაელახა ასიანი რუბიკონი – მან ფეხის თითის ტკივილის გამო 4 დღის წინ ხორვატიასთან შეხვედრა გამოტოვა. არადა ის თამაში უხვგოლიანი გამოდგა – პორტუგალიელებმა ხორვატებს 4:1 მოუგეს.

ამრიგად, სექტემბრის დასაწყისში, მე-100 გოლის გასატანად რონალდუს შვედეთში თამაშიღა რჩებოდა. მისდა სასიხარულოდ, იუვენტუსის ფორვარდმა ჯანმრთელობის პრობლემას სძლია და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეხვედრა 2 ლამაზი გოლით დაამშვენა, რომელთაგან პირველი ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმა გახლდათ.

ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი კრიშტიანუ რონალდუმ ევრო 2004-ზე გაიტანა, როდესაც ჯგუფურ ეტაპზე მომავალი ჩემპიონის, საბერძნეთის კარში შეაგდო. ის თამაში ბერძნებმა პორტუგალიელებს 2:1 მოუგეს.

შვედეთში სპორტინგის, მანჩესტერ იუნაიტედისა და მადრიდის რეალის ყოფილმა ფეხბურთელმა 2020 წლის პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა და გამოვიდა, რომ მას ბოლო 17 წლის განმავლობაში წელი არ ჩაუგდია, თუნდაც ხელის შემშლელ ფაქტორად პანდემია ყოფილიყო.

დღეს, კრიშტიანუ რონალდუ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში მეორეა, ვისაც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 100-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი. მას მხოლოდ ირანელი ალი დაეი უსწრებს, რომელსაც 109 გოლი აქვს გატანილი.

კრიშტიანუს წინაშე მკაფიო ამოცანა დგას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დავით კაჭარავამ კარიერა დაასრულა

დავით კაჭარავას საქართველოს მორაგბეთა ნაკრებში მატჩების რეკორდული რაოდენობა აქვს ჩატარებული – 122. აქედან 104 სასტარტოში დაიწყო, 25 ლელო გაიტანა და ნაკრებს 125 ქულა მოუტანა.

კაჭარავამ რაგბის თამაში ყოჩებში, ნუგზარ მალაღურაძესთან დაიწყო და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პირველივე დღიდან „მოიწამლა“. ფიზიკური მონაცემების გარდა, ის გამოირჩეოდა კარგი ხედვით და ლელოს ალღოთი, დაცვაში კი განსაკუთრებით საიმედო იყო და სწორედ „კაჭის“ გამაქვავებელი ბოჭვები იყო ერთ-ერთი, რამაც ქართველ ქომაგს რაგბის მიმართ სიყვარული გაუღრმავა.

ყოჩების შემდეგ კარიერის განმავლობაში ბასტიაში, ნიცაში, როდეზსა და ენისეიში ითამაშა.

„კაჭის“ სანაკრებო დებიუტი 2006 წლის 29 აპრილს, ოდესაში უკრაინის ნაკრებთან შედგა და მას შემდეგ ის გუნდის შეუცვლელ ფიგურად იქცა. ერთი წლის შემდეგ, ის ნაკრებთან ერთად 2007 წლის მსოფლიო თასზე გაემგზავრა და მსოფლიო თასებზე მონაწილეობის ისტორიაში, საქართველოს ნაკრების პირველ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა – ნამიბიასთან მატჩში ბურთი ჩაჭრა, ლელო გაიტანა და საბოლოო შედეგი (30:0) დააფიქსირა.

მას ოთხ მსოფლიო თასზე (2007, 2011, 2015, 2019) აქვს ნათამაშები და უმეტეს შემთხვევებში მოედანზე შეუცვლელად ირჯებოდა. „ბორჯღალოსნებთან“ ერთად 11-ჯერ აქვს მოგებული რაგბი ევროპის ჩემპიონატი. ბოლო სანაკრებო მატჩი მან 2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე, პორტუგალიის წინააღმდეგ ჩაატარა, მეტის საშუალება კი კოვის 19-ის პანდემიამ არ მისცა.

ბოლო პერიოდში კაჭარავა აქტიურად ემზადებოდა როგორც ინდივიდუალურად, ასევე საქართველოს ნაკრებთან ერთად, თუმცა მოულოდნელად მოთამაშის კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო...

ამის შესახებ გულშემატკივრებს „კაჭიმ“ საკუთარი სოციალური ქსელით ამცნო:

– დადგა დღე, რომელიც ჩემთვის ძალიან ემოციურია! დღე, როდესაც ჩემი რაგბის კარიერა დასრულდა! როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს გულშემატკივრებს, რომლებიც მუდმივად გვერდში მედგნენ როგორც წარმატებულ, ასევე ყველაზე მძიმე პერიოდშიც. მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, მეგობრებს ხელშეწყობისთვის!

მადლობა რაგბის ფედერაციის ყველა თანამშრომელს, ვინც წლების მანძილზე თავისი შრომით, ერთი აგურის დადებით მაინც შეიტანა წვლილი რაგბის განვითარებაში.

მადლობა კლუბ ყოჩებს, მის პრეზიდენტს გუგა გეგენავას, მადლობა მწვრთნელებს!

განსაკუთრებული მადლობა ნუგზარ მალაღურაძეს, მისი მწვრთნელობის პერიოდში მოხდა ჩემი ძირითადი ფასეულობების ჩამოყალიბება.

მეამაყება რომ მრავალი წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდის, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი ვიყავი. მადლობა ეროვნული ნაკრების ყველა მოთამაშეს, ვის გვერდშიც მითამაშია. მადლობა რაგბს, მადლობა საქართველოს, იმისთვის, რომ მენდო, იმისთვის, რომ მომცა შანსი მისი წარმატებისთვის მებრძოლა.

რაგბმა ბევრად მეტი მომცა, ვიდრე დავუბრუნე!

მე ყოველთვის მორაგბედ და მორაგბეების გულშემატკივრად დავრჩები...

თქვენს გვერდით ვიქნები ბიჭებო, რითიც და როგორც შემეძლება...

წარმატებას ვუსურვებ ქართულ რაგბს!

რაგბი ჩვენი თამაშია!

შედეგები

8 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ეროვნული ლიგა

ბელგია-ისლანდია 5:1
დანია-ინგლისი 0:0
საფრანგეთი-ხორვატია 4:2
შვედეთი-პორტუგალია 0:2
სომხეთი-ესტონეთი 2:0
საქართველო-ჩრ.მაკედონია 1:1
კვიპროსი-აზერბაიჯანი 0:1
ლუქსემბურგი-ჩერნოგორია 0:1
სან მარინო-ლიხტენშტეინი 0:2

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პრიზეული

კაცები

ჩორიჩი-ა.ზვერევი 6:1,6:7,6:7,3:6
ტიაფო-მედვედევი 4:6,1:6,0:6
კ.ბუსტა-შაპოვალოვი ... 3:6,7:6,7:6,0:6,6:3

ქალები

ბრედი-პუტინცევა 6:3,6:2
აზარენკა-მუხოვა 5:7,6:1,6:4
მერტენსი-კენინი 6:3,6:3
ოსაკა-როჯერსი 6:3,6:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში; 2. ზაფხულის თვე; 3. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 4. წინსვლა, აღმავლობა; 8. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 9. პონტოს მეფე; 11. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 14. უბანი თბილისში; 16. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. პოპულარული ზამთრის კურორტი პოლონეთში; 19. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა; 21. მიქელანჯელოს ქანდაკება.

თარაზულად: 5. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 7. გავლენის სფეროს გაფართოება; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 13. აღფრთოვანება, მგზნებარება; 15. ძვირფასი ქვების, მეტალის წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 18. ქართველი კინორეჟისორი; 20. სტადიონი მეხიკოში; 22. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 23. მარტვილის ძველი სახელწოდება; 24. ამერიკელი კოვბოების ფართოფარფლებიანი ქუდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გემა; 2. გნოლი; 3. ბეილი; 5. იანუსი; 6. ლაგოდეხი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. როსინი; 18. ლიდა.

თარაზულად: 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. სოპოტი; 8. ლიეტუვა; 12. სტუკო; 13. ჟუდეცი; 15. ბოჟოლე; 17. ალი; 19. გვერდწითელი; 20. დინგო; 21. დალესი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. როკფორი; 2. ფოტოლიზი; 3. სიგნატურა; 4. ბეითალი; 5. მეტრანპაჟი; 10. ჰეგელი; 11. ბაბლუანი; 12. კამპუსი; 21. ვოლგა; 23. ხორგო.

თარაზულად: 6. მორფოლოგია; 7. მეეზოვე; 8. ჯოყოლა; 9. ტალახაძე; 14. ნარიყალა; 15. ჰემინგუეი; 18. ტონგა; 20. გინიოლი; 22. გახარია; 24. ბოჟოლე; 25. ჰამბურგი; 26. ბაგები.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0975

ევრო — 3.6420

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0044

100 რუსული რუბლი — 4.0813

ამინდის პროგნოზი 10 სექტემბრისათვის

ლუის სუარესი თითქმის იუვენტუსის ფეხბურთელია

ლუის სუარესი თითქმის შეუთანხმდა იუვენტუსს პირადი კონტრაქტის თაობაზე და ის ტურინული გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. მისი ხელფასი 12 მილიონ ევროს გაუტოლდება, თუმცა ჯერ ბარსელონა და იუვენტუსი ბოლომდე არ შეთანხმებულან.

ბარსელონა სუარესის ტრანსფერში 30 მილიონს ითხოვს, ხოლო იუვენტუსი მხოლოდ 20 მილიონზეა თანახმა, ამიტომ შესაძლოა სუარესის იუვენტუსში გადასვლა გაჭიანურდეს. სუარესის ბარსელონადან წასვლა გუნდში კუმანის მოსვლამ გამოიწვია, რომლის გეგმებშიც ურუგვაელი ფორვარდი არ შედის.

კოუტინიო ბარსელონაში რჩება



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა ფილიპე კოუტინიოს შენარჩუნება გადაწყვიტა და ბრაზილიელი ფეხბურთელი სეზონს ბარსელონას შემადგენლობაში დაიწყებს. კოუტინიო უკვე ჩავიდა ბარსელონაში და გუნდთან ერთად ვარჯიშიც დაიწყო. კუმანი ბრაზილიელ ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს და, სავარაუდოდ, ის ძირითად შემადგენლობაში იქნება, თუმცა კუმანი გარანტიას არავის აძლევს.

კოუტინიომ ბოლო სეზონი ბაიერნში გაატარა, სადაც ის იჯარის წესით იმყოფებოდა.

ზიდანი: „გამარჯვებას იუვენტუსში მივეჩვიე“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა თავისი ფეხბურთელობის პერიოდი გაიხსენა და თქვა, რომ ის გამარჯვების მიღწევას და მასზე ფიქრს იუვენტუსში შეეჩვია.

ზიდანის თქმით, როდესაც მსგავს გუნდში თამაშობ, შენგან ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვენ: – იუვენტუსში მივხვდი, რომ მეორე ადგილი არასოდეს არ არის დამაკმაყოფილებელი შედეგი და შენგან მხოლოდ პირველობას ითხოვენ. ეს გრძნობა ძალიან მომეწონა და მას შემდეგ მაქსიმალისტი გავხდი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცმა 20 ცალი ლატარიის ბილეთი იყიდა და 20-ჯერ გაიმარჯვა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ საუტ-ბოსტონის მკვიდრმა ლატარიის ერთ გათამაშებაში 20-ჯერ გაიმარჯვა.

ტონი მაილსმა გათამაშებისთვის 20 ერთნაირი ბილეთი შეიძინა და ყოველ მათგანში მიუთითა ციფრები: 1, 9, 2, 9.

ყველა ამოსული რიცხვი ლატარიის ბილეთში მითითებულ რიცხვებს დაემთხვა და ყოველმა მათგანმა მაილს ხუთ-ხუთი ათასი დოლარი მოგება მოუტანა. ხოლო მისმა მოგებულმა საერთო თანხამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მოგებულ თანხას გადასახადების დაფარვას მოახმარს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 სექტემბრისათვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– ღვედის გარეშე რატომ მოძრაობთ?

– მერე, არ გიხარიათ?

●●●

ერთი მეზობელი ქალი მეორეს ეუბნება:

– შენი ქმარი, მგონი, ანიკოსთან დადის.

– არ ინერვიულო, მოვა შენამდეც.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი ვარ.

– ვინ გითხრა?

– შენ.

– და შენც დაიჯერე?!

– რა თქმა უნდა!

– ჰოდა, სულელი ხარ!

– სამაგიეროდ, ლამაზი!

●●●

კაცს უძილობა აწუხებს. წევს და ფიქრობს:

– ნეტა ღმერთი არსებობს თუ არ არსებობს? თუ მაინც არსებობს? თუ მაინც არ არსებობს? თუ არსებობს?

ამ დროს ზევიდან ხმა ჩაესმის:

– არ ვარსებობ, არა! დაიძინე რა!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ პანდემიამ ადამიანები ზუსტად დაყო განათლებულებად და გაუნათლებლებად.

– ეგ როგორ?

– როგორ და პირველები სამედიცინო ნიღაბს იკეთებენ, ხოლო მეორენი – იცვამენ.

●●●

სამსახურში მიღების მსურველს გასაუბრებაზე ეუბნებიან:

– აღგვიწერეთ თქვენი ადეკვატურობის ხარისხი.

– სელფს არ ვიღებ.

– მიღებული ხართ!

●●●

ქალი და კაცი აფთიაქში შევიდნენ და ქალი აფთიაქარს ეკითხება:

– როგორი პრეზერვატივები გაქვთ?

– აგერ იმ ვიტრინასთან მიდით და თავად შეარჩიეთ.

ამ დროს კაცი აფთიაქარს ჩურჩულით ეუბნება:

– და თუ შეიძლება ძილის წამალიც.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ქალო, რა გაღრიალებს?

– იქ ობობაა!

– მერე რა?

– საშინელია!

– არც შენ გავხარ ბადრ მთვარეს, მაგრამ ის კი არ ღრიალებს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სტეფანე მღებრიშვილი: „სადაც ჩემი კონცერტი უნდა ყოფილიყო, ის კლუბი დაკეტეს“



მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი სახელმწიფოს მიერ ახალი რეგულაციების შემოღებას აპროტესტებს:

– კიკვიძის ბაღი რომ გავხსენით და ჩემი კონცერტი იყო, მართლა რეგულაციის დაცვით, ატეხეს ერთი ამბავი, სტეფანეს კონცერტი რომ იყოო და დანიშნეს უამრავი კონცერტი.

მერე ჩემი კონცერტი ბათუმში იყო და ყველა ბილეთი გაიყიდა, კლუბმა გააჩერა გაყიდვები ბილეთების და ხალხს არ უშვებდა, ეს რა ამბავი იყო სტეფანეზეო და დაიწყეს გატრაკება, მოხსენით კონცერტებიო.

ახლა სხვა კონცერტები დატოვეს, მაგრამ, სადაც ჩემი კონცერტი უნდა ყოფილიყო, ის კლუბი დაკეტეს, სადაც არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

მანანა აბრამიშვილი: „მოვაწყოთ აქცია ყველგან“

აცხადებს რუსთაველის თეატრის მსახიობი მანანა აბრამიშვილი და ხელისუფლებას საჯაროდ აკრიტიკებს:

– როგორც ჩანს, ხელისუფლება ისევ იწყებს ყველაფრის დახურვას. ამას ჩვენ ვეღარ გავუძლებთ. ვაცადოთ რამდენიმე დღე, კიდევ რამდენ დაინფიცირებულ არ არსებულ ადამიანს დააბრეხვებენ და გამოვიდეთ გარეთ. მოვაწყოთ აქცია და მოვითხოვოთ, გახსნან ყველაფერი. ცხოვრება დაუბრუნდეს ჩვეულ მდგომარეობას. თუ არადა, 31 ოქტომბერს არც ერთი ხმა ამ მთავრობას! მოვაწყოთ აქცია ყველგან. ყველა ქალაქსა თუ სოფელში. დავიღალეთ! მეტის მოთმენას აღარ ვაპირებთ!

გოგა გეგელია: „თეატრებსა და კინოთეატრებს თავი დაანებეთ“

რეჟისორი გოგა გეგელია მოუწოდებს ხელისუფლებას, თავი დაანებოს თეატრებსა და კინოთეატრებს და საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიხედოს:

– ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ, რადგან აზრს ვერ ვხედავ. ერთ რამეს გირჩევთ უბრალოდ, თეატრებსა და კინოთეატრებს თავი დაანებეთ და საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიხედეთ. ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებში ერთმანეთს აზიან ადამიანები.

და კიდევ ერთი, ხელოვანი ადამიანები თქვენგან განსხვავებით სხვა განზომილებაში აზროვნებენ, ჩვენთვის ჩვენი საქმე – რეპეტიციები და სპექტაკლები სასიცოცხლოდ აუცილებელია, ჩვენ სხვანაირად ცხოვრება ვერ წარმოგვიდგენია. თუმცა ამას თქვენ ვერ გაიგებთ. ნოემბერიც მოვა.

ნინო თარხნიშვილის მიმართვა მთავრობას

მწერალი და ჟურნალისტი ნინო თარხნიშვილი მთავრობას მიმართავს და ლოგიკას ვერ ხედავს თეატრებისა და კინოთეატრების დახურვაში მაშინ, როცა რამდენიმე დღეში სკოლები იხსნება:

– თეატრებისა და კინოთეატრების გახსნა გადავადდა პირველ ნოემბრამდე.

სამაგიეროდ, სკოლები 6 დღეში იხსნება. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, შრომის ინსპექცია განახორციელებს სკოლების მონიტორინგს.

შეგახსენებთ, საქართველოში 2000-ზე მეტი სკოლაა.

შრომის ინსპექციის მონიტორინგის ფარგლებში, 400 ინსპექტორია მობილიზებული, რომლებმაც, სკოლების გარდა, ცხადია, სხვა ობიექტებიც უნდა შეამოწმონ. ნეტა როგორ, ჰა?

კი ვნახეთ, როგორ „ეფექტურად“ იმუშავა შრომის ინსპექციამ ბათუმში.

ჰოდა, ეს სკოლის მოსწავლეები და მათი ოჯახის წევრები, საცდელი ბაჭიები არიან თუ როგორ არის ჩვენი საქმე?

ცხადია, ყოველგვარი პანიკის გარეშე ვკითხულობ.

იქნებ ვინმემ, ჰორიზონტზე, ლოგიკის კიჩო დამანახოს.

თეატრები და კინოთეატრები პირველ ნოემბრამდე არ გაიხსნება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, თეატრები და კინოთეატრები პირველ ნოემბრამდე არ გაიხსნება.

გადაწყვეტილება საბჭომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე მიიღო. თეატრებსა და კინოთეატრებთან დაკავშირებით შეზღუდვების შემსუბუქება 15 სექტემბრიდან იგეგმებოდა.

რაც შეეხება ღია ცის ქვეშ დაგეგმილ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს, მათზე დამსწრე აუდიტორიის მაქსიმალური რაოდენობა 200 ადამიანით განისაზღვრა. აღნიშნული რეგულაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი იმოქმედებს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 2. ღვიძლის დაავადება; 3. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 5. ფინური ხალხური ეპოსი; 7. მუქთახორა, ზარმაცი ადამიანი; 9. თანამედროვე ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 13. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 15. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 16. თაღლითი ბანქოს თამაშში; 18. ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი.

თარაზულად: 1. მონასტერი რაჭაში; 6. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 8. საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური კულტურის დონე; 10. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 11. ქაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 12. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 14. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 17. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 19. იაპონური აბანო; 20. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 21. ჭადრაკის ფიგურა; 22. შემაგრებული ღვინო; 23. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა